პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ოქტომბერი კვირა 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 228 (15138)

ხუთწლედი — ვადამდე

# ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს!

## ტრადიციას არ ღალატობენ

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შედეგად ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გადატანის ცხრა თვის გეგმა 22 სექტემბრისათვის შეასრულეს. მოძრავი შემადგენლობის უფრო რაციონალურად გამოყენებით გამოათავისუფლეს 250 ათასზე მეტი ვაგონი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

რკინიგზის მშრომელები კიდევ უფრო აძლიერებენ შრომის ტემპს და პირობას იძლევიან, რომ თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 950 ათას ტონა ტვირთს გადაზიდავენ.

## ზეგეგმითი 2 მილიონი ბოთლი

თბილისი. (საქ. კორ.). ავჭალის მინის ქარხნის კოლექტივი (დირექტორი გ. პილიძე) ხუთწლედის პირველი წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების ვადამდე განაღდებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზეა. მეშუშეებმა პროდუქციის რეალიზაციის დავალება 22 სექტემბრისათვის გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით 50 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს. განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 2 მილიონი ბოთლი მიაწოდეს.

დანადგარების რაციონალური გამოყენებით, მოცდენების შემცირებით რვა თვეში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 5,4 პროცენტით აამაღლეს, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 1,2 პროცენტით შეამცირეს და სამშობლოს 19,8 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მექანიკოსები ბ. ახვლედიანი, ი. ჯაბიაშვილი, მემანქანეები კ. აბეიშვილი, თ. ნადირაძე, ს. სინჯარაძე.

## გეგმა — გადაჭარბებით

ხირსა. („კომუნისტის" კორ.). მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი გ. ჯანგულაშვილი) სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ორგანიზებულად ჩაატარა რთველი. აქ გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ნაცვლად 2.290 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 2.500 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხილის, ბოსტნეულის, ხორცისა და რძის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

## 225 ათასი მანეთი მოგება

ახალციხე. (საქ. კორ.). რესპუბლიკის გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ახალციხის № 6 სამონტაჟო-საექსპლოატაციო ტრესტის კოლექტივმა დროს გაუსწრო. რვა თვეში ათი თვის გეგმა შეასრულა. დაამონტაჟა 5800 გაზქურა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 700-ისა.

შრომის ნაყოფიერების გადიდებით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 225 ათასი მანეთი მოგება, გეგმა კი 104 ათას მანეთს ითვალისწინებდა.

# მასწავლებელი

მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია.
ილია ჭავჭავაძე

მასწავლებელთა შუქი ადგას შარავანდედად ყველა სიყვარულს, შთაგონებას და გატაცებასო, — შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ამ სიტყვებს. მასწავლებლის ნაამაგარი მთელ სიცოცხლეში თან გვდევს, როგორც მშობლებისა.

ხალხის სიყვარული მასწავლებლისადმი გამოხატულია დღევანდელი დღითაც — დღეს მასწავლებლის დღეა. ხანდაზმულმა, უფროსი თაობის ადამიანებმა, ხოლო ისტორიით ყველამ ვიცით, თუ რა ტანჯვის დღე ჰქონდა წარსულში მასწავლებელს. ახლა კი პარტიამ და მთავრობამ, ხალხის ნებასურვილით, ყოველი წლის ოქტომბრის პირველ კვირადღეს სპეციალური ზეიმი დააწესა — მასწავლებლის დღე.

მასწავლებლის დღე ჩვენში მარტო ლიტონი სიტყვები როდია — ეს ნათელი დადასტურებაა იმ სიყვარულისა, რითაც ხალხი მოხავს ნორჩი თაობის აღმზრდელს, იმ მშობლიური ზრუნვისა, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ თავიანთი თანაშემწისადმი სახალხო განათლების სახელმწიფოებრივ საქმეში — მასწავლებლისადმი.

არსად, არც ერთ ეპოქაში სახალხო განათლება ისე არ ყოფილა სახელმწიფოს ზრუნვის საგნად ქცეული, როგორც ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში. ავიღოთ საქართველოს მაგალითი — 1921 წელს საქართველოში 40 საშუალო სკოლა იყო. ამჟამად მათი რიცხვი ათასობით განიზომება. შესაბამისად გაიზარდა მასწავლებელთა რაოდენობაც. უწინდელი 5-6 ათასის ნაცვლად დღეს ჩვენს სკოლებში ნორჩი თაობის აღზრდას 80 ათასამდე მასწავლებელი ემსახურება.

მასწავლებელთა მამა, ქომაგი, ერის სახიქადულო შვილი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურისგდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი"... სწორედ ასეთს ძლიერს, საბჭოთა პატრიოტულს, ჭეშმარიტად ჰუმანურ სულს ზრდის ნორჩში მასწავლებელი. შემდეგ ეს საბჭოთა სულისკვეთება განაპირობებს მთელ მის შემდგომ ცხოვრებას, ყოფას, შეგნებას, საქმიანობას. ეს პატრიოტული სული განსაზღვრავს პიროვნების ფასს საზოგადოებაში, მის როლს, ადგილს. ახალი ადამიანის ჩამოყალიბების დიდ და რთულ საქმეში განუზომელია საბჭოთა სკოლის როლი, კერძოდ, აღზრდის ცენტრალური, მთავარი ფიგურის — მასწავლებლის როლი და დანიშნულება.

ცხოვრებას არასოდეს არ დაუსახავს მასწავლებლის წინაშე ესოდენ პასუხსაგები და ძნელი ამოცანა — ასწავლოს და აღზარდოს თაობა, რომელიც ცხოვრობს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უმაგალითოდ სწრაფი განვითარების ეპოქაში. ცხოვრებას არასოდეს არ წამოუყენებია ესოდენ მაღალი მოთხოვნები პედაგოგის ზოგადი კულტურისა და სპეციალური ცოდნისადმი...

პარტიის XXIV ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა მივაღწიოთ არა მარტო ეკონომიკის, არამედ მთელი საზოგადოების კულტურის განვითარების უფრო მაღალ დონეს". ამისათვის კი საბჭოთა სკოლას, მასწავლებლებს აკისრიათ უდიდესი ამოცანა — თავიდანვე ზარდონ მაღალი მორალური თვისებების ადამიანები, ზარდონ კომუნიზმის შეგნებული მშენებლები.

მისცეს მოსწავლეებს საზოგადოებრივი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი ზოგადი საშუალო განათლება, მიაღწიოს, რომ მოსწავლეები იძენდნენ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას და უნარს დამოუკიდებლად შეივსონ იგი, ჩამოუყალიბოს ახალგაზრდა თაობას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, განუვითაროს მოსწავლეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, სიყვარული სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი და მზადყოფნა დაიცვას სოციალისტური სამშობლო — ასეთია ჩვენი სკოლის ძირითადი ამოცანები. მათი გადაწყვეტა კი შეუძლებელია აღზრდის ისეთი ცენტრალური ფიგურის უშრომლად, როგორიც მასწავლებელია.

პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ახალგაზრდობაში ხედავს ქვეყნის ხვალინდელ დღეს, მის ღირსებას, სიამაყესა და სიდიადეს. ამიტომ არის, რომ პარტიული ორგანიზაციები ილვწიან სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა აამაღლონ მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინისათვის, მიაღწიონ სწავლებისა და აღზრდის ორგანულ შეხამებას. პარტიული ორგანიზაციები მუდამ უნდა ზრუნავდნენ მასწავლებელთა კადრებისათვის, მათი პროფესიული მომზადებისათვის, იდეური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. არა მარტო მოვთხოვოთ მუშაობა, არამედ მუდმივი ზრუნვა, სითბო, ყურადღება და პატივისცემა ვაგრძნობინოთ მასწავლებელს.

დიდია მასწავლებლებისა და მშობელთა კომიტეტების ერთობლივი მუშაობის როლი ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში. ამასთან ცნობილია და ცხოვრებით დადასტურებულია, თუ რაოდენ კეთილ გავლენას ახდენს სასკოლო მუშაობაზე მასწავლებელთა მჭიდრო, შემოქმედებითი კონტაქტი კომკავშირულ, პიონერულ ორგანიზაციებთან. მოსწავლე ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს ხომ ეს ორგანიზაციები მოიცავენ! სულ ახლახან იზეიმა საქართველოს კომკავშირმა თავისი სახელოვანი 50 წლისთავი. მის ისტორიაში ჩაწერილია ის დიდი როლი, რაც მას შეუსრულებია და ახლაც ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში. მასწავლებლის მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი მშობელთა კომიტეტთან, კომკავშირთან და პიონერულ ორგანიზაციასთან ის ფაქტორია, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს სკოლაში სწავლა-აღზრდის პროცესის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

გასულმა სასწავლო წელმა ნათლად გვიჩვენა, თუ რაოდენ კარგად ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები, როგორ ამზადებს სკოლა კომუნისტური საზოგადოების მომავალ ღირსეულ მშენებლებს. ეს გამოცდილება, ეს ტრადიცია უნდა განვამტკიცოთ, გავაღრმავოთ და განვავითაროთ. ეს გამოცდილება კი დიდია. ეს შეეხება სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა გამოყენებას; სწავლების ტექნიკურ საშუალებათა დანერგვას; ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე ზოგიერთი კლასის გადაყვანას, პედაგოგთა ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოებას ახალი გეგმებისა და პროგრამების კვალობაზე, მასწავლებელთა გადამზადებას დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებში, აგრეთვე პედინსტიტუტებში შექმნილ ფაკულტეტებსა და კურსებზე: საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლას, საყოველთაო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის სკოლების ბრძოლას; სწავლების მაღალი აკადემიური დონისათვის ბრძოლას...

სკოლაში მასწავლებელი რომ სწავლა-აღზრდის ცენტრალური ფიგურაა, ეს მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამ როლის შესრულებაში მას მხარში უნდა იდგეს არა მარტო სკოლის კოლექტივი, არამედ მთელი საზოგადოებრიობა. მასწავლებელი ილვწის ჩვენთვის, ჩვენი მომავლისათვის, და მისი შემოქმედებითი შრომა საპატიო და დასაფასებელია.

მოდით მივულოცოთ დღევანდელი ზეიმი ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელთა ოთხმოციათასიან არმიას და ვუსურვოთ მას ბედნიერება, წარმატებები შრომასა და ცხოვრებაში.

## იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის გამგზავრება

2 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი. დელეგაცია ეწვევა ვოლგოგრადს, ლენინგრადსა და კიევს.

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის მინისტრებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).



## ცოდნის წყარო

საბჭოთა ქვეყნებში სახალხო მასწავლებელი უნდა დადგეს ახალ სიმაღლეზე, რომელზეც არასოდეს არ მდგარა და ვერ დადგება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ეს ბრძნული სიტყვები ხორცშესხმულია ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში.

პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით ფრთაშესხმული საბჭოთა მასწავლებლების არმია და მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი საქართველოს მასწავლებლობა ახალი ენერგიით, შთაგონებით შეუდგა მიმდინარე სასწავლო წელს. ეს ხომ პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული სახალხო განათლების განვითარების ახალი ხუთწლიანი პროგრამის განხორციელების წელია.

მასწავლებლებისათვის ზრუნვის ნათელი დადასტურება იყო მათი შრომის ისეთი მაღალი დაფასება, როგორიც მთავრობის ორდენებით და მედლებით დიდი ჯგუფის დაჯილდოებაა. უკეთესთა შორის უკეთესთ წილად ხვდათ ბედნიერება დაჯილდოებულიყვნენ ლენინის ორდენით; მოწინავე მასწავლებლები დაჯილდოვდნენ აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით. ლენინის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის თბილისელი პედაგოგი, 88-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინო (მუქურა) ჭეიშვილი. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. პილაძემ ფოტოზე აღბეჭდა იგი — მასწავლებელი — ცოდნის ნათელით უსწავლელობის დამმარცხებელი, — როგორც ეს პოეტს უთქვამს.

## გულითადობის ვითარებაში

დელი, 1 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საღამოს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ვ. გირიმ სადილი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად.

ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად სადილზე იყვნენ წევრები საბჭოთა კავშირის პარტიის და მთავრობის დელეგაციისა, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიემგზავრება, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ნ. მ. პეგოვი.

ინდოეთის მხრივ სადილზე იყვნენ თავდაცვის მინისტრი ჯაგჯივან რამი, სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ფახრუდინ ალი აჰმედი, განათლების მინისტრი სიდჰარტა შანქარ რეი, ინდოეთის მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი ტ. ნ. კაული.

სადილის დროს, რომელმაც მეგობრობის, გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ვ. ვ. გირიმ და ნ. ვ. პოდგორნიმ სიტყვები წარმოთქვეს.

ვ. ვ. გირისა და ნ. ვ. პოდგორნის სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

## გზად ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

### საბჭოთა დელეგაცია ბირმაში ჩავიდა

დელი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქედან რანგუნში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი. დელეგაცია მეგობრული ვიზიტით მიდის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ პალამის აეროპორტში საპატიო სტუმრები გააცილეს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ვ. გირიმ, ინდოეთის მთავრობის მინისტრებმა, დელში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა მეთაურებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო საბჭოთა კავშირის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი.

რანგუნი 2 ოქტომბერი, (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმავალი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ტ. გრიშინი.

# ძალა, მამაცობა, სიჭაბუკე და სილამაზე

### სპორტული დღესასწაული „ლოკომოტივის" სტადიონზე

კომკავშირის დღესასწაული ყველთვის ძალის, ვაჟკაცობის, სიჭაბუკისა და სილამაზის ზეიმია. სწორედ ამიტომ საქართველოს კომკავშირის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავი დღესასწაულის ფინალი იყო სპორტული ზეიმი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართა.

სტადიონი მორთულია მრავალფერი ალმებით: ეს ახალგაზრდათა ახლანდელი თაობა მიესალმება იმათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას, ვინც შრომობდა პირველი ხუთწლედის მშენებლობებზე, ქმნიდა კოლმეურნეობებს, საკუთარი მკერდით იცავდა სამშობლოს ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ბრძოლის მრისხანე წლებში, ვინც აღადგენდა სახალხო მეურნეობას. დღევანდელ კომკავშირელთა დღესასწაული ჩვენი საერთო დღესასწაულია, ყველა თაობის დღესასწაულია.

მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, ნ. შ. ცხაკაია, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჰანუყაძე, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. ნ. პუგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ვ. ვასილიევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, მოძმე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის კომკავშირული ორგანიზაციების დელეგაციათა მეთაურები.

18 საათია... საზეიმოდ გაისმის ფანფარების ხმა, და სტადიონის მწვანე მოედანზე შემორბიან პიონერები და მოსწავლეები. ისინი ქმნიან პატარ-პატარა მოედნებს, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან ნორჩი ფრენბურთელები, მოკრივეები, ფეხბურთელები, ტანმოვარჯიშეები...

უყვარს ჩვენს ახალგაზრდობას სპორტი და ხალისით მეცადინეობს კიდევაც, იკაჟებს ჯანმრთელობას, ემზადება სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომისათვის. დღეს ვერ დავასახელებთ ვერც ერთ რამდენადმე ძლიერ სპორტსმენს, რომელსაც თავისი გზა საბავშვო სპორტულ სკოლაში არ დაეწყოს. მხოლოდ შემდეგ გახდნენ ისინი ჩვენი ქვეყნის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები და რეკორდსმენები, მაღლა ატარეს საბჭოთა სპორტის დროშა ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტის სტადიონებზე. ნორჩთა გამოსვლებს რომ უყურებთ სტადიონზე, არ შეიძლება არ მოიგონოთ სახელმოხვეჭილი ქართველი სპორტსმენები ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, ბორის პაიჭაძე, რობერტ შავლაყაძე, ვახტანგ ბალავაძე, ლევან ხაბაძე, ვლადიმერ რუბაშვილი და ათობით სხვა, ვინც მთელი ეპოქა შექმნა საბჭოთა სპორტში. მათი ესტაფეტა ღირსეულად მოაქვთ თინა ლეკვეიშვილს, რომან რურუას, ვიქტორ სანეევს, ალექსანდრე მეტრეველს, შოთა ლომიძეს... და ვინ იცის, იქნებ ახლა სტადიონზე რომ გამოდიან, საქართველოს დედაქალაქის ტანმოვარჯიშეთა სკოლების აღსაზრდელები თავიანთ თავს საპატიო კვარცხლბეკზე ხედავენ, მზად არიან შეეჯიბრონ სავსებით ნორჩ, მაგრამ უკვე მრავალი დიდი შეჯიბრების გამარჯვებულის საპატიო ტიტულის მფლობელს ნინო დრონოვას.

აი თვითონ ნინო დრონოვაც. იგი ნაირსიმაღლის ძელზე ასრულებს თავის განთქმულ ვარჯიშს, ასე რომ აღაფრთოვანა ყველა სპეციალისტი. და ხალხით გაჭედილ ტრიბუნებზე კვლავ გაისმის ტაში.

სპორტის ეროვნული სახეობანი — ეს დაუშრეტელი წყაროა, საიდანაც დიდ სპორტში მოდის ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი. ამიტომ ეთმობა ესოდენი ყურადღება ჩვენში ქართული ჭიდაობის, ლელობურთის, ცხენოსნობის განვითარებასა და პოპულარიზაციას. დღესასწაულზე, დოლისა და ზურნის ხმებში, მოჭიდავეთა 40 წყვილმა უჩვენა ქართული ჭიდაობის მრავალფეროვანი ილეთები. საინტერესო იყო ჩოხატაურის რაიონისა და დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ლელობურთელთა გუნდების საჩვენებელი მატჩი. ტრიბუნებს ჩაუქროლეს ამტანი, ტანდაბალი ცხენებით ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა დუშელმა მხედრებმა.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა პარაშუტისტების — სპორტის ამ ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური სახეობის წარმომადგენლების წარმატებანი. და როცა სტადიონის თავზე გამოჩნდა „ან-2" თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა რგოლის მეთაური, საპარაშუტო-სადესანტო სპორტის ინსტრუქტორი ვლადიმერ შირშოვი, მაყურებლები საბჭოთა პარაშუტისტების — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტსმენების მაღალი ოსტატობის მოწმენი გახდნენ. მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი ა. სუხინი ამ დღეს მე-2.240-ჯერ გადმოხტა პარაშუტით. მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოეს გაბედული ქალიშვილები ლიუდმილა კოვალენკო — სპორტის ოსტატი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობის დელეგატი, და ელენე ლოგინოვა — ისიც მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი. მინდორზე რომ დაეშვნენ, ისინი ყვავილთა თაიგულებით გაემართნენ მთავრობის ტრიბუნებისაკენ. დღესასწაულის სტუმრები და მონაწილენი აღტაცებული დარჩნენ პარაშუტისტების ნიკოლოზ უშმაევის, ბორის ჩევოდაევის, ვიქტორ ბონდარენკოს, ლევან გოგიშვილის, გენადი მარტინოვის, პეტრე ფილიპოვისა და სერგი კუზინის ოსტატობით.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში მეცადინეობს ახალგაზრდობა ათასობით წრესა და სექციაში. ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი გატაცებულია ტექნიკური სახეობებით — საავტომობილო, სამოტოციკლეტო, ავიასამოდელო სპორტით. რამდენიმე წუთის განმავლობაში მაყურებელთა წინაშე არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავიამოდელისტებმა წარმოადგინეს კორდიანი თვითმფრინავის მოდელების საჰაერო ბრძოლა.

სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოჩნდა მესაზღვრეთა და კომკავშირელთა ჯგუფი, რომლებმაც ესტაფეტა გამოატარეს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით. მათ უპატაკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესაზღვრე მეომრებისა და რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონების ახალგაზრდების ერთობლივი მუშაობის შესახებ. და თითქოს ამის ეპილოგიაო, უჩვენეს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა დაჭერის ეპიზოდი. საზღვრის დამრღვევთა შეპყრობაში მარტოოდენ მეომრები როდი მონაწილეობდნენ. აქვე იყვნენ მათი ნორჩი მეგობრები — პიონერებიც.

სტადიონზე გაისმის ყველასათვის კარგად ცნობილი სიმღერა — ა. ალექსანდროვის „წმიდათა წმიდა ომი". ერთხანს დამსწრეთა მეხსიერებაში გაცოცხლდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები — მოდიან ქვეგანაყოფის მეომრები, რომელთაც მეთაურობს გვარდიის ლეიტენანტი ხლინცევი. გაისმის საარტილერიო ჭურვებისა და ნაღმების აფეთქების ხმა, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კკანი. შეტევაზე მიდიან მეომრები, მაგრამ მათ გზას უღობავს საცეცხლე წერტი, რომლის ამბრაზურიდან ტყვიების წვიმა მოდის. ერთ-ერთი მებრძოლი მკერდით ფარავს ამბრაზურას... ასე იყო ინსცენირებული ლენინური კომკავშირის სახელოვანი შვილის ალექსანდრე მატროსოვის უკვდავი გმირობის ეპიზოდი.

და კვლავ დაფარეს მოედანი მრავალფერმა ალმებმა. მაყურებლები ტაშით შეხვდნენ მეომარსპორტსმენთა მიერ წარმოდგენილ მასობრივ ვარჯიშს ალმებით. მწვანე მოედანზე გამოეფინენ თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი მეთაურთა საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები. მათ ზუსტად, შეთანხმებულად შეასრულეს ლამაზი ვარჯიში, რომლის შედეგადაც მოედნის ცენტრში წარმოიქმნა ვარსკვლავი.

აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გაჩნდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი, ასობით პლანშეტისაგან შედგენილი. იქვე დაიწერა — „დიდება სკკპ!".

მარშის ხმებში მოედანზე გამოდიან ახალგაზრდები — უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების წევრები, მოსწავლეები, პიონერები ქვეყნის იმედი, ვინც საკუთარი მარჯვენით უნდა ამენოს ნათელი მომავალი. რეპროდუქტორებთან მოისმის სიტყვები ფიცისა, რომ პარტიის ერთგული თანაშემწენი იქნებიან მის ყველა საქმეში.

— ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ! — უპასუხებენ ახალგაზრდები.

დღესასწაულის მონაწილენი და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული სპორტული დღესასწაულის სცენარის ავტორი და რეჟისორია საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე თ. სანებლიძე. (საქინფორმი).



სურათებზე: სპორტული ზეიმი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე. მარჯვნივ ზემოთ — პარაშუტებით დაშვება სტადიონზე; ქვემოთ — ფიზკულტურელთა გამოსვლა.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა და ს. პილაძისა.



# მტკიცდება სსრ კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა

[illegible] ნ. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მ. ტ. ეფრემოვი, მ. ა. ლესეჩკო, ი. ტ. ნოვიკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრეჩკო, ბ. პ. [illegible]არბუზოვი, ა. ა. [illegible]ლოკოვი, სსრ კავ[illegible]მეთა მინისტრის [illegible] ვ. ვ. კუზნეცო[illegible] მინისტრთა საბჭოს [illegible] ური ურთიერთობის [illegible]ეტის თავმჯდომა[illegible] ი. ვ. არ[illegible].

[illegible] საუზმეზე იყვნენ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ალი ნასერ მუჰამედმა.

## ალი ნასერ მუჰამედის სიტყვა

დიდ კმაყოფილებას მგვრის გამოსვლა დავიწყო იმით, რომ გამოვთქვა დიდი მადლობის, პატივისცემის, მადლიერების გრძნობები იმ გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც მიგვიღეს თქვენს დიდ ქვეყანაში ჩვენი ჩამოსვლის მომენტიდანვე. ეს მოწმობს, რომ ჩვენი ორი ქვეყნის, ჩვენი ხალხების ურთიერთობა ნამდვილად მყარი და მტკიცეა.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარეობს დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც საფუძველს უყრის სოციალისტურ მშენებლობას ეროვნული ფრონტის პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ამ რევოლუციამ მრავალი გამარჯვება მოიპოვა თავის გრძელ და ძნელ გზაზე.

ქვეყნის შიგნით ჩვენი რევოლუცია იბრძვის სოციალურ ურთიერთობაში ჩამორჩენილობის დაძლევისათვის. ამ მიზნით მრავალი ღონისძიება განხორციელდა. რევოლუცია დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებს. მან მოახდინა ნაციონალიზაცია უცხოელთა მონოპოლიებისა და ბანკებისა, რომლებიც იმპერიალიზმის ხელში ზეგავლენის იარაღს წარმოადგენდნენ. იმპერიალიზმი გვემუქრებოდა და ცდილობდა ავეცდინეთ სოციალიზმის გზისაგან, მოესპო ჩვენში პროგრესული რეჟიმი.

ჩვენი წინსვლის გზაზე ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან იყო კონსტიტუციის გამოქვეყნება ხანგრძლივი განხილვის შედეგად და მუშათა პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების, ხალხის ყველა იმ ფენის მიერ დამტკიცების შემდეგ, რომელნიც დაინტერესებული არიან ამ გარდაქმნებით. გარდა ამისა, შეიქმნა უმაღლესი სახალხო საბჭო. ჩვენი ძლევამოსილი რევოლუციის მიღწევებს განეკუთვნება აგრეთვე სამეურნეო განვითარების მესამე გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი რევოლუციის პოზიციები ემთხვევა პოზიციებს, რომლებიც უჭირავთ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისმოყვარე ძალებისათვის დახმარებისა და მხარდაჭერის საქმეში.

ჩვენ რომ სწორ გზას ვადგავართ, ამას მოწმობს ის, რომ ჩვენი რესპუბლიკა ცნეს კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის რევოლუციურმა მთავრობამ, და გავცვალეთ დიპლომატიური წარმომადგენლობანი ამ ქვეყნებთან.

ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან დღენიადაგ მტკიცდება და ვითარდება იმ მომენტიდან, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. საბჭოთა კავშირი ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე ჩემი ქვეყნის დიდი ერთგული მეგობარია, მეგობარი, რომელიც საჭირო დახმარებას გვიწევს ჩვენს ბრძოლაში. ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებულ ამ მტკიცე ურთიერთობას დიდი პატივისცემით ვეკიდებით.

ჩვენი რესპუბლიკა აღტაცებით აღიქვამს იმ კოლოსალურ მიღწევებს, რომლებიც დიდმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ და თანმიმდევრულად იბრძვის იმპერიალიზმის, მისი ყველა ფორმის წინააღმდეგ, ახორციელებს რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

თქვენთვის საიდუმლო როდია, თუ რა ვითარება შეიქმნა ჩვენი რესპუბლიკის გარშემო. იმპერიალისტთა შეთქმულებანი სულ უფრო გაამფთრებული ხდება. უწინდებურად ამზადებენ მტრულ გეგმებს ეს მთელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რა როლს ასრულებს ჩვენი რესპუბლიკა არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომ ჩვენში დამყარებულია თავისი ხასიათით ნამდვილად პროგრესული რეჟიმი.

რაც შეეხება სპარსეთის ყურის რაიონს, იმპერიალისტთა უკანასკნელი ცდები — ფორმალური დამოუკიდებლობა მიანიჭონ ამ რაიონის საამიროებს, იმპერიალიზმის ცდები — დააკანონოს თავის ყოფნა ამ რაიონში — ყოველივე ეს მხოლოდ ცალკეული რგოლებია მსოფლიო იმპერიალიზმის შეთქმულებათა ჯაჭვში, რომლებიც მიმართულია იმ პროგრესული რეჟიმების ლიკვიდაციისაკენ, სოციალისტური გზით რომ ვითარდებიან. ამ რეჟიმებს მიეკუთვნება ჩვენს რესპუბლიკაში დამყარებული წყობილებაც.

ამ პირობებში, ძვირფასო ამხანაგებო, მეგობარი სახელმწიფოების ვალი საბჭოთა კავშირის მეთაურობით ის არის, რომ გაგვიწიონ მხარდაჭერა და დახმარება. ჩვენ ყველანი ერთ ბანაკში ვიმყოფებით, ჩვენ ყველანი ვიბრძვით იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ. ეს მხარდაჭერა ჩვენს ხალხს უნერგავს კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს იაროს რევოლუციური გზით სრულ გამარჯვებამდე, მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებსაც ვაწყდებით.

ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა წარმოშობს ცხელ, აფეთქების მხრივ საშიშ წერტილს მსოფლიოს რუკაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიონისტთა თარეში არაბულ ტერიტორიებზე, რასაც მსოფლიო იმპერიალიზმი უჭერს მხარს, ლიკვიდირებულ უნდა იქნას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველამ, ვისი კანონიერი უფლებებიც უზურპირებულია, კვლავ უნდა მოიპოვოს ეს უფლებები, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს მშვიდობიანად იცხოვროს თავის ტერიტორიებზე.

ჩვენს დიდ შეშფოთებას იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობა. ამერიკის იმპერიალიზმი განაგრძობს ომის ესკალაციას ამ რაიონში ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ. ჩვენ მივესალმებით ამ მებრძოლ ხალხებს და კვლავ ვადასტურებთ, რომ სავსებით ვუჭერთ მხარს მათს სამართლიან და კანონიერ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ყოველივე იმას, რასაც საბჭოთა კავშირი აკეთებს ჩვენს ქვეყანასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. დიდ მადლობას ვუხდი საბჭოთა ადამიანებს, მეგობარ საბჭოთა ხალხს იმ ღონისძიებებისათვის, რომელთაც ისინი ახორციელებენ ამისათვის. ჩვენს ქვეყნებს ეროვნული სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მტკიცე ურთიერთობა აკავშირებს.

ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია არა ვთქვათ გულითადი სიტყვები საბჭოთა კავშირის პოზიტიურ პოზიციაზე არაბული სამყაროს პრობლემების მიმართ, არ შეგვიძლია არ გამოვხატოთ მადლიერების გრძნობები იმ მუდმივი მორალური და მატერიალური მხარდაჭერისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ამ რაიონის ხალხებს.

ალი ნასერ მუჰამედმა ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა ა. ნ. კოსიგინსა და ყველა დამსწრე ამხანაგს, მთელ საბჭოთა ხალხს გულითადი მიღებისა და გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის. მან წარმოთქვა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ახალი ცხოვრების მშენებელი იემენელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის, მთელი დიდი საბჭოთა ხალხის მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცების სადღეგრძელო, საბჭოთა კავშირ-იემენის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების სადღეგრძელო ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა.

## ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

მიმართა რა პრემიერ-მინისტრ ალი ნასერ მუჰამედს, ა. ნ. კოსიგინმა თქვა:

თქვენი გამოსვლები მოსკოვში, გულთბილი გრძნობები, რომლებიც გამოთქვით საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხისა და ჩვენი კომუნისტური პარტიის მიმართ, მოწმობენ, რომ შედარებით მცირე პერიოდში, რაც დამოუკიდებელი იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს, ჩვენს ქვეყნებს შორის შეიქმნა და განმტკიცდა მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების დამოკიდებულება. ამასვე მოწმობს ჩვენი მოლაპარაკება, რომლის მსვლელობაში ჩვენ ადგილად ვპოულობთ საერთო ენას მხარეებისათვის საინტერესო საკითხების განხილვისას.

საბჭოთა ხალხი გულწრფელი პატივისცემით ეკიდება იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს. თქვენ პირველად როდი ხართ საბჭოთა კავშირში და ალბათ უკვე დარწმუნდით ამაში. თქვენი ქვეყნის ხალხი საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ არაბ ხალხთა მრავალმილიონიანი ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენლად, რომლებსაც ღირსეული ადგილი უჭირავთ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს შორის, იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, თავიანთი ქვეყნების ყოველმხრივი აღმავლობისათვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — საბჭოთა კავშირი თქვენი საიმედო მეგობარია იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

არაბულ სახელმწიფოებთან და მათ შორის იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარება ჩვენი პრინციპული ხაზია, რომელიც დადასტურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ამ ხაზს ჩვენ კვლავაც დავიცავთ, განვახორციელებთ მას სხვადასხვა კონკრეტულ საქმეებად. მისი გამოვლინებაა არაბი ხალხებისადმი თანმიმდევრული მხარდაჭერა მათს სამართლიან ბრძოლაში იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის ჯარების გაყვანისათვის ყველა არაბული ოკუპირებული ტერიტორიიდან. მისი გამოვლინებაა ის, რომ სულ უფრო ფართოვდება ეკონომიური კავშირურთიერთობა, ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის პატივისცემის საფუძველზე. სწორედ ასეთი ხასიათისაა აგრეთვე ჩვენი თანამშრომლობა იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

თქვენი ქვეყანა მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, რაიონში, სადაც იმპერიალისტები ცდილობენ შეინარჩუნონ პოზიციები. მათ სურთ ხელი შეუშალონ ახალგაზრდა ეროვნული არაბული სახელმწიფოების პროგრესს, ცდილობენ ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილისა და სპარსეთის ყურის მთელ რიგ რაიონებში. იმპერიალისტებს სურთ, ისე როგორც წინათ, მტაცებლურ ექსპლოატაციას უწევდნენ ბუნებრივ სიმდიდრეებს, რომლებიც არაბ ხალხებს ეკუთვნით, უწინარეს ყოვლისა მათს ნავთობს, და უდიდეს მოგებას იღებდნენ ამის შედეგად. მაგრამ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი ბოლოს უღებს თვითნებობასა და ჩაგვრას.

რევოლუციამ სამხრეთ იემენის ხალხს დაუსახა მრავალი შესაძლებლობა სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის, პროგრესის გზით სვლისათვის. თქვენს ქვეყანაში წიაღის შესწავლა მხოლოდ იწყება, და შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ თქვენ მოგელით მთელი რიგი აღმოჩენები ამ დარგში. იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაში ისახება აგრეთვე მთელი რიგი სხვა მრავლისაღმთქმელი მიმართულებანი. ვითარდება ბამბის უძველესი კულტურა, რაც შეესაბამება მიწათმოქმედების აღმავლობისა და მრეწველობის განვითარების ამოცანებს. იწყება ზღვის სიმდიდრეთა ათვისება, რომლებიც სულ უფრო ხდება ადამიანის მრავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დიდმნიშვნელოვანი წყარო. თქვენი ქვეყნის თვით გეოგრაფიული მდებარეობაც კი დიდმნიშვნელოვან საჭირო ცენტრად აქცევს მას. ამას მოწმობს ათასობით გემი, რომლებიც ყოველ წელს მოდიან ადენის ნავსადგურში სხვადასხვა ქვეყნის ალმებით. თქვენი რესპუბლიკის ხალხს აქვს საფუძველი, რომ იმედით შეჰყურებდეს მომავალს.

ძვირფასო იემენელო ამხანაგებო! ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას, თქვენი ქვეყნის ხალხსა და მთავრობას წარმატებებს პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების გზაზე.

ა. ნ. კოსიგინმა ადღეგრძელა პრემიერ-მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის გენერალური ხელმძღვანელობის წევრები, მეგობარი და თავისუფლებისმოყვარე სამხრეთ იემენის ხალხი, წარმოთქვა საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სულ უფრო მზარდი მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის სადღეგრძელო.

საუზმემ გულთბილობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საქტასი).

## სამეცნიერო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

1 ოქტომბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა თემას „სკკპ XXIV ყრილობა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება“.

დღის პირველ ნახევარში გრძელდებოდა მუშაობა სექციებში: სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები; თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის თეორიული პრობლემები; პარტიული მშენებლობის საკითხები; თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის, სოციალისტური იდეოლოგიისა და კულტურის განვითარების პრობლემები. მოხსენებანი სექციათა სხდომებზე გააკეთა ათობით მეცნიერმა.

ნაშუადღევს გაიმართა კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელზეც მოისმინეს სექციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი გაწეული მუშაობის შესახებ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა პ. ნ. ფედოსეევმა.

## მეგობრული ვიზიტით

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამგზავრების გამო

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მიწვევით უახლოეს დღეებში მოსკოვიდან ბერლინში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაციის მეთაური იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი. (საქტასი).

## მეგობრობა, თანამშრომლობა

დელი, 2 ოქტომბერი. (საქტასი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი ინდოეთში ახალ ეტაპს იწყებს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, განაცხადა საქტასის კორესპონდენტთან ინტერვიუში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ.

„საბჭოთა კავშირში ინდირა განდის ვიზიტის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში, — აღნიშნა მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს გენერალურმა მდივანმა, — დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულებას მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მოასწავებს ახალ საფეხურს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო [illegible]

## გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი. 2 ოქტომბერი. (საქტასი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე გრძელდება ზოგადი დისკუსია.

ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრმა კლოდომირო ალმეიდამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, აღნიშნა რომ ყოველი ინიციატივა, რომლის მიზანია განიარაღება, მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული. მან მოუწოდა შეამცირონ შეიარაღება ლათინურ ამერიკაში.

კ. ალმეიდა მიესალმა ღონისძიებებს ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის მოსაწვევად, რომელმაც, მისი თქმით, დასაბამი უნდა მისცეს ამ კონტინენტის სახელმწიფოთა ურთიერთობის ახალ ერას.

ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ლათინური ამერიკის კონტინენტზე ვითარების ნორმალიზაცია. ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამ მხრივ მან დაასახელა ის, რომ შეწყდეს ლათინური ამერიკის პირველი სოციალისტური სახელმწიფოს კუბის ეკონომიური იზოლაცია.

ჩილეს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და მოაწესრიგონ კონფლიქტი იმ პროგრამის საფუძველზე, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ წამოაყენა.

ნიგერიის საგარეო საქმეთა კომისარმა ოკოი არიკპომ თავის გამოსვლაში აფრიკის ხალხთა დიდი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ კონტინენტის სამხრეთ ნაწილში ჯერ კიდევ რჩება რასიზმი და კოლონიალიზმი.

## ახალი იმედების წყარო

ნიუ-იორკი. 2 ოქტომბერი. (საქტასი). ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ ახალი იმედების წყაროა ყველა ევროპელისათვის, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეელმა, რომელიც გუშინ გამოვიდა ნიუ-იორკში უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„ამ შეთანხმებამ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ამასწინანდელმა მოლაპარაკებამ უმაღლეს დონეზე დიდი წვლილი შეიტანა ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების საქმეში“, — თქვა შეელმა.

სხვა დიდმნიშვნელოვან ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაასახელა აგრეთვე ორ გერმანულ სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის წარმოებული მოლაპარაკება.

## თავს დაესხნენ მ. ბარზანის

ბაღდადი, 2 ოქტომბერი. (საქტასი). უცნობ პირთა ჯგუფი, იუწყება ბაღდადის რადიო, გუშინ შეეცადა თავს დასხმოდა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს მუსტაფა ბარზანის.

თავდამსხმელებმა მ. ბარზანის შტაბ-ბინაში ააფეთქეს დაყოვნებული მოქმედების რამდენიმე ბომბი და ხელყუმბარა. აფეთქებები საათზე მეტს გაგრძელდა. მ. ბარზანის მცველთა შორის არიან დახოცილნი და დაჭრილნი. ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე არაფერი მოსვლია.

მმართველი პარტიის არაბთა სოციალისტური აღორძინების ხელმძღვანელობამ მუსტაფა ბარზანის გაუგზავნა წერილი, რომელშიც გმობს ქურთთა ლიდერზე დანაშაულებრივ თავდასხმას.

ეს თავდასხმა, ნათქვამია წერილში, მიმართული იყო არა მარტო თვით ბარზანის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე „1970 წლის 11 მარტის ისტორიული დეკლარაციის“ წინააღმდეგ. მთავრობის ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული იყო ქურთებისა და ერაყის ხელისუფლებს შორის მიღწეული შეთანხმების ძირითადი დებულებანი, რომელმაც ბოლო მოუღო ჩრდილოეთ ერაყში გაჭიანურებულ კონფლიქტს.

## გრიგალი ინდოეთსა და პაკისტანში

დელი. 2 ოქტომბერი. (საქტასი). ამ უკანასკნელ დღეებში მძლავრმა გრიგალმა გადაუარა ინდოეთის შტატის დასავლეთ ბენგალიის ზღვის სანაპიროს. ქარის სიჩქარე აღწევდა 100 კილომეტრს საათში. უკანასკნელი მონაცემებით, გრიგალის შედეგად დაიღუპა 11 კაცი, დანგრეულია რამდენიმე ათასი სახლი სოფლად.

რავალპინდი, 2 ოქტომბერი. (საქტასი). უდიდესი ძალის ქარი და უზარმაზარი ტალღები დაატყდა თავს დღეს დილით აღმოსავლეთ პაკისტანის ზღვისპირა ნაწილს. არასრული მონაცემებით, დანგრეულია ათასზე მეტი სახლი და მნიშვნელოვან ფართობზე მოსპობილია მარცვლეული კულტურების ნათესები. ყველაზე მეტად დაზარალდა პატუაქჰალისა და ბარისალის რაიონები.




დასავლეთგერმანელი ახალგაზრდები პროტესტს გამოთქვამენ ნეოფაშისტთა თავყრილობების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ არსებული საზღვრების აღიარებას, მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, მოუწოდებენ „მარჯვნიდან საფრთხესთან“ ბრძოლისაკენ.

ფოტო ადნ-საქტასისა.

## ფაქტები

● სანტიაგოში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ჩილეს შეთანხმებას, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირი საჩუქრად გადასცემს ჩილეს მთავრობასა და ხალხს კომპლექსურ მოწყობილობას წელიწადში 70 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის სიმძლავრის სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებლობისათვის და გაუწევს უსასყიდლო ტექნიკურ დახმარებას მის მშენებლობაში.

● 130 ამერიკელმა კონგრესმენმა გააკეთა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს სამხრეთ ვიეტნამში „პრეზიდენტის არჩევნების“ ფარსს. „სავსებით ცხადია, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ რეფერენდუმი არ ცხადყოფს სამხრეთვიეტნამელი ხალხის თვითგამორკვევას“.

● ბრიტანეთის ჯარებს ოლსტერში უბრძანეს ფართოდ გამოიყენონ ავტომატური იარაღი ირლანდიელებთან შეტაკებების დროს, რომლებიც საოკუპაციო არმიის წინააღმდეგ ეწევიან ბრძოლას. ეს განაცხადა ბელფასტში ინგლისის თავდაცვის მინისტრმა კარინგტონმა, რომელიც საინსპექციოდ ჩავიდა ოლსტერში.

● უცხოეთის კინოკომპანიებთან დაკავშირებული წრეების ზეგავლენით კინოს ეროვნულმა ინსტიტუტმა მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს ბრაზილიური წარმოების ფილმების სავალდებულო ჩვენება ქვეყნის კინოთეატრებში 98-დან 84 დღემდე წელიწადში.

● საფრანგეთის ყველაზე ცნობილ მუზეუმში — ლუვრში — ეწყობა პაბლო პიკასოს სურათების გამოფენა. მისი გახსნა დაუკავშირეს თანამედროვეობის ამ გამოჩენილი მხატვრის დაბადების 90 წლისთავს, რომელიც 21 ოქტომბერს სრულდება. პიკასო მსოფლიოში პირველი მხატვარია, რომლის ნამუშევართა გამოფენა ლუვრში ეწყობა მხატვრის სიცოცხლეში.

# ინგლისის დაზვერვის შავბნელი საქმენი

ინგლისის რეაქციული პრესის მიერ გაჩაღებული ღვარძლიანი ანტისაბჭოთა კამპანია არ ცხრება. შუბლმაგარ კონსერვატორთა პოლიტიკის ძველი მედაფდაფენი „დეილი ტელეგრაფი“, „დეილი ექსპრესი“, სენსაციის მოყვარული, „ნიუს ოფ უორლდის“ მსგავსი ბულვარული გამოცემები — ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ მოჩმახონ მონაჭორები „საბჭოთა ჯაშუშების“ შესახებ და „დევნონ კუდიანები“ — გამოავლინონ ინგლისელი „მოღალატეები“.

შეიძლება ითქვას, ომისშემდგომ პერიოდში ბრიტანეთის პრესა, რადიო და ტელევიზია არასოდეს ასე დაბლა არ დაცემულა ცილისწამებასა და ინსინუაციებში. როგორც ახლა, როცა ცდილობს შეაფერხოს ევროპაში დაძაბულობის შენელება, უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა, აგრეთვე მოწამლოს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობა. ინგლისში გაჩაღებული ახლანდელი ანტისაბჭოთა კამპანიის ორგანიზატორთა ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოაშორონ „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისს“ — ბრიტანეთის დაზვერვის ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

### „ბრიტანული დემოკრატიის“ კალთის ქვეშ

სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელნიც ინგლისში საბჭოთა დაწესებულებებში სამუშაოდ მიემგზავრებიან, კულტურული თუ მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის ხაზით იქ მივლინებაში იმყოფებიან, თუ ტურისტულ მოგზაურობებს აწყობენ, მუდამ ბრიტანეთის დაზვერვის გაფაციცებული ყურადღების ობიექტი ხდებიან. ამას ახლო წარსულის ზოგიერთი დოკუმენტი და ფაქტიც მოწმობს.

აი ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ა) 1 განყოფილების მიერ მომზადებული სამახსოვრო ბარათი. დოკუმენტზე დასმულია გრიფი „სრულიად საიდუმლოდ და პირადად“. ბარათი მიძღვნილია დაზვერვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშობის პრობლემების განხილვისადმი.

ბრიტანეთის ფორინ ოფისის კულტურული ურთიერთობის განყოფილების აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების ქვეგანყოფილების უფროსის — ბატონ სპაიტისათვის გათვალისწინებულ ამ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიდ ბრიტანეთში მომუშავე საბჭოთა მოქალაქეებისადმი, მათ შორის იქ სწავლისათვის ჩასული პირებისადმი ტოტალური თვალთვალისა და ჯაშუშობის ორგანიზაციას. სამახსოვრო ბარათის მე-2 პარაგრაფში ნათქვამია: „მეგობრებმა (ასე უწოდებენ დაზვერვის თანამშრომლებს. — ავტ.) განაცხადეს, რომ შეიძლება იყოს შემთხვევები, როცა ისინი მოისურვებენ გადაიბირონ სსრ კავშირში სწავლისათვის ჩასული ინგლისელი სტუდენტები, რათა გამოიყენონ ისინი გაცვლის შეთანხმების სხვა მუხლის შესაბამისად ინგლისში მოსწავლე საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ. ბატონი ოლვერი თანახმაა, რომ მეგობრებს შეუძლიათ ჩვენთან კონსულტაციის გარეშე სთხოვონ ამ სტუდენტებს თვალყური ადევნონ საბჭოთა სტუდენტებს, მოახსენონ მათი ქცევის, გუნება-განწყობილების შესახებ და სხვ“.

„სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ „მეგობართა“ ერთ-ერთი მსხვერპლი თავის დროზე გახდა საბჭოთა ასპირანტი — ფიზიკოსი ვლადიმერ ტკაჩენკო. იგი ბირმინგჰემის უნივერსიტეტში მუშაობდა. ინგლისის საიდუმლო სამსახური ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა დაეყოლებინა იგი სამშობლოსადმი ღალატში. როცა ეს გეგმა ვერ განახორციელეს და ვლადიმერი უკვე ლონდონიდან მოსკოვს მიმავალ თვითმფრინავში იმყოფებოდა, პოლიციელები შეიჭრნენ თვითმფრინავში, ძალით გაათრიეს ტკაჩენკო სავარძლიდან და წაიყვანეს „დამუშავების“ განსაგრძობად. როცა დარწმუნდნენ, რომ ტკაჩენკო არაფრის გულისათვის არ დარჩებოდა ინგლისში, მოძალადეებმა იგი დაუბრუნეს საბჭოთა კავშირის ლონდონის საელჩოს მუშაკებს სრულიად შეურაცხადი.

სამთავრობათშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაციის საბჭოთა თანამშრომელი ვ. ნ., რომელმაც რამდენიმე წელიწადი იმუშავა საზღვარგარეთ, ინგლისიდან სსრ კავშირში წამოსვლის დროს შეიპყრეს გარაჟში ვინმე მაკლ ლამბერტმა, მაიკლ მაკკოლიმ და ინგლისის დაზვერვის კიდევ ერთმა თანამშრომელმა. ნ. გააბრუეს სპეციალური სასმელით და წაიყვანეს გარაჟიდან. აი, რას გვიამბობს იგი ამის შესახებ.

„მას შემდეგ, რაც მაიძულეს დამელია რაღაც სითხე, თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი და გონება თითქმის დავკარგე. მანქანაში შემაგდეს და გაურკვეველი მიმართულებით წამიყვანეს. გზაში მაიკლ მაკკოლიმ მომთხოვა, რომ ხელი მომეწერა ვიღაცის მიერ წინასწარ ხელით დაწერილ განცხადებაზე ინგლისურ ენაზე, რომ ვითხოვ ნება დამრთონ დავრჩე ინგლისში. მე უარი ვთქვი ხელი მომეწერა ამ დოკუმენტზე... სულ ცდილობდნენ ჩემს დაშინებას. საბჭოთა კანონის თვალში დამნაშავე ხარ, რომ საბჭოთა კავშირში საპყრობილე გელის...“

საბჭოთა წარმომადგენლებს არაერთხელ მიუპყრიათ ინგლისის ხელისუფალთა ყურადღება საიდუმლო სამსახურების ამგვარი აქციებისათვის, სამსახურებისა, რომელთაც თითქოს ყოვლადფერი ნებადართული აქვთ; ინგლისში მომუშავე საბჭოთა მოქალაქეების ქონების გაქურდვის ორგანიზაცია, საიდუმლო ჩხრეკა ბინებში, დიპლომატთა ცემა, ცილისმწამებლური გამოხდომები პრესაში ამა თუ იმ საბჭოთა თანამშრომლის წინააღმდეგ. შანტაჟი. პროვოკაციები, დაშინება.

1971 წლის მარტში გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც შეიცავდა სპეკულაციებს, რომ ინგლისის ხელისუფალთ განზრახული აქვთ მკვეთრად შეამცირონ საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის მიღწეული მოცულობა. გაზეთი იუწყებოდა, რომ ეს დაგეგმილი ღონისძიება განხორციელდებოდა მაშინვე, როგორც კი მოსკოვიდან გაემგზავრებოდა ინგლისის მაშინდელი ელჩი დ. ვილსონი.

„დეილი ექსპრესის“ მიერ გაშვებული საცინო ბურთი ტყუილად როდი გაჩნდა. გასული წლის ბოლოდან ლონდონში მომუშავე საბჭოთა დაწესებულებების, საბჭოთა ადამიანების გარშემო მუდამ ქმნიდნენ უაღრესად დაძაბულ, საგანგაშო ვითარებას. აი ზოგიერთ ფაქტი.

30 მარტს შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდებინათ „გოლდერს გრინის“ თეატრის შენობისათვის იმ მომენტში, როცა იქ გამოდიოდა კიევის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

10 მაისს საქტასის ლონდონის განყოფილების შენობაში შეიჭრა ხულიგანთა ჯგუფი, რომელმაც სამუშაო მაგიდებზე უმგვანო ცეკვები გააჩაღა.

10 მაისს ღამით „უცნობმა“ პირებმა ცეცხლი წაუკიდეს სასტუმრო „ნიუ ლენგჰემს“, სადაც დაბინავებული იყვნენ კიევის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობები. ყველა ჩვენმა მსახიობმა სასტუმრო ხანძრის გაჩენამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა. მაგრამ „უცნობთა“ დანაშაულებრივმა აქციამ უმსხვერპლოდ როდი ჩაიარა: ცეცხლში დაიღუპა 8 კაცი.

30 მაისს საბჭოთა საკონსულოს შენობას თავს დაესხა რამდენიმე ათეული „სიონიზმის თავისუფალი იდეებისათვის მებრძოლი“, რომლებმაც ჩაამსხვრიეს ფანჯრები, დაამტვრიეს ავეჯი.

26 ივნისს საქტასის ლონდონის განყოფილებაში კვლავ შეიჭრა ხულიგანთა ჯგუფი.

15 ივლისს ჩაიდინეს ახალი ანტისაბჭოთა აქცია — შეეცადნენ ჩაეშალათ საბჭოთა მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენის გახსნის ცერემონია.

2 სექტემბერს დაარბიეს ინტურისტისა და აეროფლოტის წარმომადგენლობათა შენობები.

ინგლისის ხელისუფალთ ფაქტიურად არავითარი ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ ამ აღმაშფოთებელი ყაჩაღური აქტების აღსაკვეთად. ახლა განა ეჭვი შეიძლება ვიქონიოთ, რომ მთელი ეს მოქმედება სანქციონირებული იყო იმათ მიერ, ვისაც სურდა „მოემზადებინა“ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ხელისუფალთა ახლანდელი მოქმედებისათვის, რომელიც მიმართულია ლონდონში მომუშავე თითქმის ყველა საბჭოთა დაწესებულების წინააღმდეგ, თითქმის ყველა მისი თანამშრომლის წინააღმდეგ.

### „კომერსანტები“ და „ტურისტები“ მუშაობენ

[illegible]ის წინ დევს ინგლისის დაზვერვის სრულიად საიდუმლო ცირკულარი „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ მიერ ინგლისის ფირმების მოსამსახურეთა საზღვარგარეთ გამოყენების შესახებ“, რომელსაც დასმული აქვს* № CIRC 99651 F 70. ეს დოკუმენტი შეიცავს დაწვრილებით ინსტრუქციებს საზღვარგარეთ მომუშავე ინგლისის ფირმების მოსამსახურეთაგან აგენტურის შეგროვების შესახებ, „მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა“. ინგლისის დაზვერვის წარმომადგენლებს წინადადება ეძლევათ იქონიონ მჭიდრო კონტაქტი და შეათანხმონ თავიანთი საქმიანობა ჯადაბირების მიზნით შესაბამისი ინგლისური ფირმების ხელმძღვანელობასთან. ასეთი მითითება ფირმების ხელმძღვანელებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების თაობაზე შემთხვევითი როდია: დაზვერვის აგენტთა სააღრიცხვო ბარათებში ხშირად აღნიშნულია მეწარმეთა, სავაჭრო და სამრეწველო ფირმების დირექტორთა და მმართველთა გვარები. ამ კარტოთეკაში შეტანილი იყვნენ „ბრიტანეთის მრეწველობის ფედერაციის“ საგარეო ურთიერთობის ყოფილი დირექტორი ტენანტი, ავიაკომპანია „ბრიტიშ იუროპიენ ეირუეიზის“ ერთ-ერთი დირექტორი პერინგი, ფირმა „სტეინლეს სტილ ვესელს ლიმიტედის“ სავაჭრო დირექტორი ბოუენი და სხვები.

ყოველ წელიწადს სსრ კავშირში 2 ათასზე მეტი ინგლისელი კომერსანტი ჩამოდის. არავინ არ აპირებს მიიჩნიოს ყველა მათგანი მზვერავებად, მაგრამ მათ შორის არიან ისინი, ვინც საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობას მარტოოდენ კომერციული მიზნით როდი იყენებს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ინგლისის დაზვერვამ განიცადა სკანდალური მარცხი, როცა მხილებულ იქნენ მოღალატე პენკოვსკი და მისი მეკავშირე გრევილ ვინი — „ბიზნესმენის“ ნიღბით მოქმედი ჯაშუში. როცა დანაშაულზე წაასწრეს, მან სასწრაფოდ გასცა თავისი პატრონები „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისიდან“. საბჭოთა სასამართლომ ვინს საკადრისი მიუზღო. მაგრამ მხილებული ჯაშუშის სავალალო გამოცდილება, ეტყობა, მოსვენებას არ აძლევს ზოგიერთ მის თანამოძმეს, რომლებიც „კომერსანტთა“ ყალბ პასპორტებს ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის იყენებენ.

მაგალითად, ფირმა „სიტი ინტერმერსის“ წარმომადგენელი ა. ჰელერი საბჭოთა კავშირში ხშირ ვიზიტებს სადაზვერვო მონაცემების შესაგროვებლად იყენებს და ცდილობს დაიყოლიოს საბჭოთა ადამიანები სამშობლოს ღალატში. ვ. ინგრემი — ფირმა „ინგლიშ ელექტრიკის“ წარმომადგენელი საიდუმლო ეკონომიურ ინფორმაციას აგროვებს. მათ არ ჩამოუვარდებიან ისეთი „კომერსანტებიც“, როგორიც არიან პ. გუდჩაილდი — ფირმა „ვოგაუ მაშინერის“ წარმომადგენელი, ბ. ფრენკელი „სტერლინგ გრუპსის“ ფირმიდან, ნიკოლასი „ტაიმს პროდაქტსის“ კომპანიიდან და სხვები, რომლებიც აშკარა ანტისაბჭოთა პროპაგანდას მიმართავენ.

ინგლისის დაზვერვის დავალებათა შესრულებას ცდილობენ საბჭოთა კავშირში ზოგიერთი ბრიტანელი ტურისტები, ჟურნალისტები, სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კარგად არის ცნობილი ჯერალდ ბრუკის, სამართლის, ენებისა და კომერციის კოლეჯის რუსული ენის მასწავლებლის, ამბავი, რომელიც ცდილობდა დაეწყო ჯაშუშური საქმიანობა სსრ კავშირში და დანაშაულზე წაასწრეს.

აი სულ უკანასკნელი დროის რამდენიმე ფაქტი. ინგლისელი ავტოტურისტები ტ. ჰესკეტი, გ. ჰიტერი, დ. ჰეინკროსი, ჯ. კეეპი, დ. სანდერსი იმ მომენტში დააკავეს, როცა იღებდნენ სამხედრო ობიექტების სურათებს. ავტოტურისტი დ. მურ-სტენლი, სტუდენტი, ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს ცდილობდა დაედგინა სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილები.

ზოგიერთ ინგლისელ „ტურისტს“, რომლებიც საიდუმლო ორგანიზაციათა დავალებებს ასრულებდნენ, თავიანთ მანქანებში მოწყობილი ჰქონდა სამალავები რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე გამოცემული და სსრ კავშირში გასავრცელებლად გათვალისწინებული ანტისაბჭოთა ლიტერატურის გადასაზიდავად. დანაშაულზე წაასწრეს და საბჭოთა კავშირიდან გააძევეს ავტოტურისტები დ. ედკოკი, ჯ. ვილსონი, მ. რიჩარდსონი, ჯ. კრევენი, რ. ელიზი და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლებს არაერთხელ გაუძევებიათ ჩვენი ქვეყნიდან ინგლისელი ჯაშუშები, რომლებიც დიპლომატიური, კომერციული, ტურისტული და სხვა პასპორტებით მოქმედებდნენ. მაგრამ „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისი“ არ წყვეტს ცდებს, რომ აწარმოოს ძირგამომთხრელი მუშაობა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მშვიდობიან შრომას ეწევა. და ეს ყველა საბჭოთა მოქალაქის დიდ სიფხიზლეს მოითხოვს.

ინგლისის დაზვერვამ შექმნა განშტოებული ქსელი, რომელიც ქვეყნიერების ყველა კუთხეში მოქმედებს. „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუდე ჰონკონგშია, საიდანაც ეწევიან ჯაშუშურ მუშაობას ჩინეთის წინააღმდეგ. ბრიტანელი აგენტებს იჭერენ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. სწორედ ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში და იმ ქვეყნებში, რომლებიც იბრძვიან უცხოეთის კაპიტალისაგან თავისდაღწევისათვის, ბრიტანეთის დაზვერვა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვებთან ერთად აჩაღებს ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომლის მიზანია კოლონიალიზმის რესტავრაცია, აწყობს შეთქმულებებს, სახელმწიფო გადატრიალებებს.

ამ სტატიაში ჩვენ ბრიტანეთის დაზვერვის ძირგამომთხრელი საქმიანობის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი გავაშუქეთ. შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი სხვა მაგალითიც, რომლებიც ცხადყოფენ „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ შავბნელ საქმეებს, რომლებსაც განსაკუთრებით მფარველობენ ბრიტანეთის ხელისუფალნი. ამ საქმეებს საერთო არა აქვთ არც ინგლისის უშიშროების ინტერესებთან, არც ინგლისელი ხალხის ინტერესებთან: ისინი იმსახურებიან მხოლოდ კაპიტალის მაგნატთა, იმპერიალისტ მტაცებელთა ინტერესებს. იმათ ინტერესებს, ვისაც არა სურს დაძაბულობის შენელება, ვისაც ხელს აძლევს გამალებული შეიარაღება, მილიტარიზაცია, „ცივი ომი“.

ვ. გოლუბოვი.
(„პრავდა“, 2 ოქტომბერი).

# ჩვენი სოფლის სურათები

# ხმაურიანი დღეები

კარლო კობერიძე

მანქანაში ოთხნი ვსხედვართ: ჩუმლაყის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნოდარ რუაძე, გურჯაანის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი — ჩემი სიყრმის მეგობარი ბიძინა წიკლაური, მე და, რა თქმა უნდა — შოფერი...

ბუნებრივია, ნარკვევისათვის ამგვარი დასაწყისი საკმაოდ გაცვეთილია, მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა რამ მაწუხებს: მანქანაში ამდენი და ამდენი ვისხედითო და ხშირად შოფერს არც ახსენებენ ხოლმე. საოცარია: კაცს შენი სიცოცხლე აბარია და უცებ — ხსენების ღირსადაც არ თვლი! აბა, გაიხსენეთ: როცა იმ პროფესიის ადამიანებს ჩამოთვლიან, ვისაც შეცდომა არ ეპატიება, უპირველეს ყოვლისა, შოფერს ასახელებენ. ნამდვილად საპატიო პროფესიაა!

ჩვენი შოფერი ალაზნისაკენ მიაქროლებს „კოლხოზნიკს" — ჩვენ თუ არ გვეჩქარება, სხვას ეჩქარებაო.

ასფალტიანი გზა რომ დამთავრდა, ალაზნის არხიც გამოჩნდა.

არხის ბოგირი გავიარეთ, მერე ხეხილის ბაღი და ზვრებში შევედით.

— აქ სადღაც არიან ჩვენი გოგო-ბიჭები, — თქვა ნოდარმა.

— მე ვიცი, სადაც არიან, — უთხრა შოფერმა და მანქანა მარჯვნივ შეაბრუნა — ახლა თუთის ნარგავებსა და ზვარშუა მივუყვებით მტვრიან გზას.

— ვინ უნდა ნახო? — მეკითხება ბიძინა.

— ემზარ რუაძე.

— მოიცა, გუშინ სხვას არ ამბობდი?!

თავი დავუქნიე.

ჰო, გუშინ სხვა იყო. კომკავშირის გურჯაანის რაიკომში შევიარე, ადრევე ვიყავი მოლაპარაკებული და მინდოდა, ამბავი გამეგო, პირველი მდივანი, მირიან გიოშვილი ვიკითხე და მითხრეს, აქ არისო.

მირიან გიოშვილი სასიამოვნო ახალგაზრდაა — ცოცხალი, მოძრავი, საქმიანი, სულ რაღაც ეჩქარება და სულ სადღაც მიეჩქარება. ვიდრე რაიკომის მდივნად აირჩევდნენ, კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა, იმიტომაც იცის მიწის ფასი, ჩვენი დალოცვილი ვაზის ფასი. ბევრჯერ შევსწრებივარ და გაოცება ვერ დამიფარავს — ადვილად და უბრალოდ იგებს ახალგაზრდა კოლმეურნეებისა თუ მოსწავლეების გულისნადებს. მათაც კარგად იციან, რომ მირიანი გუშინდელი კოლმეურნეა, და ამიტომაც მეტი მოკრძალებით, მეტი ნდობით უყურებენ.

— ყველაფერი რიგზეა, — მითხრა მირიანმა, — ხვალ ათი საათისათვის დავიბარე.

— კარგი, ათ საათზე ჩამოვალ!

მერე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

დღეს ზუსტად ათ საათზე მივედი. მირიანი, ცოტა არ იყოს, შეწუხებული დამხვდა:

— რაღაც კარგად ვერ არის საქმე.

— კაცო, ესეც პრობლემაა?!

ამ დროს კაბინეტში ახალგაზრდა შემოვიდა.

— ეს არის ჩუმლაყის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნოდარ რუაძე.

გავეცანი.

— რა მოხდა? — ჰკითხა მირიანმა.

— წუხელ ბარე სამჯერ გავაფრთხილე, ათ საათზე რაიონში იყავი-მეთქი...

— აქ რათ მინდოდა, იქ მოეცადა, — ვთქვი და მირიანს შევხედე.

მირიანმა ხელი ჩაიქნია.

— რა უნდა ველაპარაკო!.. რომელი იყო?

— გველუკაშვილი.

— ჰოო... ისე, ნამდვილად კარგი მუშაა, კარგი კომკავშირელია... საინტერესოა, რა მოხდა ისეთი?!..

— წეღან შინ მივაკითხე. ისაო, ბრიგადირმა გამოუარა და საქმეზე წავიდნენო...

საქმე, საქმე...

მივლინებაში ყოფნისას რას არ წააწყდება, რას არ მოიხილავს კაცი! ზოგჯერ ასეთი რამეც ხდება: ყოველგვარი ინსტანცია გაიარე და, აი, უკვე მიხვედი იმ ადამიანთან, ვისთანაც უშუალოდ გაქვს საქმე. ვინმე მოახსენებს, აქედან და აქედან ამა და ამ საკითხზეა ესა და ესაო. შეხვალ კაბინეტში. ხედავ, ზის და რაღაცას კითხულობს. მისალმებისას თავს ასწევს. დაბრძანდითო და ისევ განაგრძობს კითხვას. ზიხარ და ელოდები, როდის მოიღებს მოწყალებას და შენთვისაც როდის მოიცლის. გული გელევა ლოდინში, თან ეჭვი გეპარება: იქნებ ჩათვლით იცის კითხვა და რაღას ვემართლებიო. როდის როდის ასწევს თავს და ასე ვთქვათ, დაღლილი თვალებით შემოგხედავს: „რა გნებავთ?" შენც მოახსენებ „რაც გნებავს". მაშინვე ხდება, მანქანა რომ არის საჭირო და მაშინვე იხმობს ვინმეს, წადი ამასთან, იმასთან და მანქანა სთხოვეო: მისი მანქანა კი აგერ დგას, კიბესთან. ისიც მიდის და ეძებს საძებარს. ამასობაში „ეს" დროს არ კარგავს და იმ ერთი ფურცლის კითხვას განაგრძობს. ერთი საათის შემდეგ „ის" ბრუნდება და მოახსენებს — ვერავინ ვნახეო. არადა, ამ ერთ საათში მინდვრიდან თუ ზვრებიდან დავბრუნდებოდით კიდეც. მეტი რა გზაა — ამბობს „ეს" — „ისევ ჩემი მანქანით წადით". მერე სხვათა შორის იტყვის: „მე ვერ გამოგყვებით, საქმე მაქვს".

— რამ ჩაგაფიქრა? — მხარზე ხელს მარტყამს ბიძინა.

— რა ვიცი, ხან წარსული გაგახსენდება, ხან — ნატვრის თვალის ზღაპარი...

ზვრებშუა ყურძნით თავმობმული მანქანა იდგა — მზის სხივებში ოქროდ ციმციმებდა მტევანი.

ეს უკანასკნელი წლებია სპეციალურ ძარას დგამენ მანქანაზე. მწკრივებიდან საკრეფლით რომ გამოიტანენ ყურძენს, პირდაპირ ამ ძარაზე ყრიან. დაცლით ავტომატურად იცლება. სულ რაღაც ორიოდე წელი გაივლის, და გოდორიც ისე უცებ იქცევა იშვიათობად, როგორც კევრი იქცა — თქვენს თვალწინ დაკარგა მნიშვნელობა.

მანქანა გაჩერდა და გადმოვედით. ძარაზე რომ ბიჭი იდგა და საკრეფლს აწვდიდნენ, იმას უთხრა ნოდარმა, ემზარს გასძახეო.

— ჰაი, ემზარ!

არავინ გამოეპასუხა.

— ჰაი, ემზარ!

ზვარში ჟივილ-ხივილი იდგა და ვის რას გააგონებდა.

— რუაძე-თქო, — ურჩია ბიძინამ.

— რუაძე რომ დაიძახოს, ნახევარი მაინც გააგონებს, — გაეღიმა ნოდარს.

— შენც რუაძე ხარ, არა? — ჰკითხა ბიძინამ და პასუხი რომ მიიღო, განაგრძო, — გამაგებინე, რამდენი კომლი რუაძე იქნება ჩუმლაყში?

— კომლს ვერ გეტყვი, და ნახევარი სოფელი მგონი რუაძეა.

ძველი ამბავი გამახსენდა და გამეღიმა: ომის დამთავრების შემდეგ, მანამდე, ვიდრე მუდმივი კინოდანადგარები გაჩნდებოდა სოფლებში, ერთადერთი გასართობი ჭიდაობა იყო. ყოველ კვირა საღამოს ხან ჩვენ მივდიოდით სხვა სოფელში საჭიდაოდ, ხან სხვები მოდიოდნენ ჩვენთან. ერთხელაც ჩუმლაყელები გვეწვივნენ. ჭიდაობა დაიწყო. მსაჯმა პირველი წყვილი გამოაცხადა: ჩუმლაყიდან — რუაძე, შაშიანიდან... შენ დაუკარ! მეორე წყვილი: ჩუმლაყიდან — რუაძე... ხალხს გაეცინა. მესამე წყვილი: ჩუმლაყიდან — რუაძე... „კიდევ რუაძე, კაცო?". მეოთხე წყვილი — რუაძე და... ხალხი ახარხარდა. ასე მიჰყვა და, როცა ბოლო წყვილიც წარუდგინეს მაყურებლებს და მაშინაც — ჩუმლაყიდან რუაძეო, მეზობლები ველარ სცნობდნენ ერთმანეთს, ისე ჩაიხოცნენ სიცილით.

— ემზარ რუაძე, — გამეცნო მაღალი, შავგვრემანი ბიჭი და ხელი რომ ჩაუშვა, უხერხულად შეიშმუშნა — მელოდა, რას ვეტყოდი და, განგებ რომ არ ამოვიღე ხმა, ამან დააბნია. საერთოდ საინტერესოდ მეჩვენება უხერხულობით შემკრთალი ახალგაზრდა კაცი: ამაში პატიოსნებისა და სიკეთის საწყისსა ვხედავ.

ემზარ რუაძემ საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა და საბუთები შეიტანა ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში.

— მერე? — ვეკითხები.

— მერე, ჩავიჭერი!

— სხვა შენს ადგილზე იტყოდა, ქულა დამაკლდაო.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, გინდ ქულა დამაკლდა, გინდ ჩავიჭრილხარ...

სოფელში დაბრუნდა თუ არა, მაშინვე კოლმეურნეობას მიაშურა — მეძროხეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ: მებოსტნეობის ბრიგადაში, მეღორეობის ფერმაში — სადაც საჭირო იყო იქ გადაჰყავდათ სამუშაოდ და ახალგაზრდა, მოწადინებული ბიჭი არაფერზე ამბობდა უარს.

— ზოგ ახალგაზრდას ხომ ეთაკილება, ვთქვათ, მეღორეობის ფერმაში მუშაობა?

— ბევრს კი არა, ძალიან ბევრს.

— იქნებ მიზეზი იცოდე?

— ოჯახია მიზეზი.

მართლაც ასეა: ხშირად შვილი სასიკეთო გზის არჩევას აპირებს, წინ იყურება, მაგრამ მშობლები ერთ ვაიუშველებელს ატეხენ ხოლმე და თავიანთი ჭირვეულობით. ბოლოს და ბოლოს, გზას უმრუდებენ. იმას კი აღარ ფიქრობენ, მათი შვილი უკვე იმ ასაკისაა, როცა კანონი და გონება უფლებას აძლევს თვითონ მართოს საკუთარი ბედი, საკუთარი თვალით შეხედოს ცხოვრებასა და დღევანდელობას.

— მერე აღარ გიცდია უმაღლესში ჩაბარება?

— ვცადე, არ გამომივიდა!

მაგრამ ამან გული არ გაუტეხა ემზარს — უფრო ბეჯითად მოეკიდა წიგნსა და ყოველდღიურ საქმიანობას.

— ვერავის დავემდურები, ეტყობა, კარგად ვერ მოვემზადე.

— ახლა ემზადები?

— ვემზადები. იანვარში იწყება მისაღები გამოცდები და, ვფიქრობ ახლა მივაღწევ მიზანს.

— ისევ გარეთ რომ დარჩე?

— კიდევ იქნება გამოცდები! — ეღიმება. ამ ღიმილში ვერ შენიშნავთ ხუმრობის ნიშანწყალს — სიმართლეს ამბობს, მაგრამ იცის, ღიმილის საფარველი აუცილებელია. ეს სამი სიტყვა დაქადნება კი არა, იმედია, მომავლის იმედი.

ის ბრიგადა, ემზარ რუაძე რომ მუშაობს, ახალგაზრდული ბრიგადაა. ამ ბრიგადაში მხოლოდ კომკავშირელები არიან. რომც არ იცოდე, ამ ნაკვეთში ვინ მუშაობს, ისეთი ხმაური და ჟივილ-ხივილი მოისმის ზვრიდან, ისედაც ადვილი მისახვედრია.

ბრიგადაში ორმოცდაათი კომკავშირელია. ყოველდღიურად, ყოველგვარ სამუშაოზე ორმოცდახუთი კაცი მაინც მუშაობსო — მითხრა ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა მევლუდ მირველაშვილმა.

ვფიქრობ, სხვა რაღა ვკითხო ემზარს. რაც მთავარია, კაცი მუშაობს, სამაგალითო კოლმეურნე და კომკავშირელია — ეს არის მთავარი. ამ ორიოდე სიტყვაზე კი დაუსრულებლად შეიძლება წერა.

— წავიდე? — მეკითხება ემზარი.

— ჯერ მოიცა!

და ისევ ვფიქრობ: ალბათ ყველა ასეთი მოწინავე იქნება ახალგაზრდულ ბრიგადაში. რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები მოწინავე და ჩამორჩენილი ყველგან და ყოველთვის მოიძებნება.

— რამდენი წლისა ხარ, ემზარ?

— ოცდაორისა!

— ცოლ-შვილი გყავს?

— არა!

— რაღას უცდი?

— ჯერ რთველია, — ეღიმება.

მოდი, ნურც ამას ჩავუთვლით ხუმრობად...

საათს დავხედე — თორმეტი სრულდებოდა და უკვე რვა ტონა ყურძენი ჰქონდათ მოკრეფილი და გამოტანილი — ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

ყოველდღე მხოლოდ რთველის დროს მუშაობს კაცი — საშური საქმეა, ამინდია მთავარი და ამიტომაც არავინ ფიქრობს თუნდაც ერთი დღით მოსვენებაზე. სხვა სხვა ამბავია. შრომის შემდეგ გართობა აუცილებელია. ემზარი კარგი სპორტსმენიც არის: ხელბურთსა და მძლეოსნობაში მეორე თანრიგი აქვს, ხოლო ფეხბურთი...

ფეხბურთი ბოლოსათვის შემოვინახე — იგი ჩუმლაყის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდის წევრია, პირველი თანრიგი აქვს... არც ეს არის პატარა ამბავი! შრომაშიც და სპორტშიც მოწინავე! — ნამდვილად დასაფასებელია...

კოლმეურნეობის ზვარს წეღანაც გადავხედე მანქანიდან, მაგრამ ახლა რომ დავაკვირდი, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა: ეს ამოდენა, ქვეყნისტოლა ზვარი შალაფაში იხრჩობოდა!

— ყურძენი მიირთვით! — გვთხოვა ნოდარ რუაძემ.

— გმადლობთ, ამ ერთიშარვლით ვარ წამოსული და, რომ დამხედს, შინ როგორღა დავბრუნდე?! რათ გადარეულა შალაფა? — ვეკითხები.

— სარწყავშია.

— ასეთი საუბედუროა რწყვა? — ისე ვამბობ, თითქოს ამ საქმისა არაფერი გამეგებოდეს.

— რომ მოირწყა, შალაფამაც იქუხა, ვეღარ მოასწრეს მოხვნა.

— ვინ ვერ მოასწრო?

— ეს ჩვენი ბრიგადისა არ არის, — მიპასუხებს მევლუდი, — სხვა ბრიგადისაა. ყურძენს ლპობა შეეპარა და ვეხმარებით.

— შე კაი კაცო, ბალახი ყურძნამდე არ უშვებს მზესა და მაშ რა დაემართებოდა?

— სხვა ნაკვეთები მოხნულია, იქ მოასწრეს მოხვნა, ჰო, იქ ნამდვილად მოასწრეს.

— მე რაც დავინახე, მხოლოდ იმაზე ვამბობ!

— ჩვენს ნაკვეთში ბალახს ვერ ნახავ, — მეუბნება ემზარი, — ბარე ხუთჯერ გავთოხნეთ! თუ არა გჯერათ, სოფლის თავშია, ნახეთ.

— ის არ ლპება?

— ის ურწყავშია.

ამ დროს ბრიგადა დასასვენებლად გამოვიდა. გოგონებს შარვლები ეცვათ.

— შეხედე, — მითხრა ბიძინა წიკლაურმა, — აქ კი, გამართლება აქვს გოგონების გაშარვლიანებას. ისე რა შეიყვანთ ამ ლიხში.

ამ ხუმრობაზე ყველას გაეცინა.

მანქანაში ჩავსხედით.

ვემშვიდობებით:

— აბა, კარგად იყავით! დაეხმარეთ, ახალგაზრდებო, დაეხმარეთ, თქვენი იმედი რომ არ ჰქონდეთ, არც გთხოვდნენ, დაგვეხმარეთო...

ბოლოს სოფელში რომ შევედით, ბიძინამ მკითხა:

— არ ნახავ ახალგაზრდული ბრიგადის ზვარს?

— არა: მითხრეს ჩვენს ნაკვეთებში ბალახი არ არისო და არც იქნება — ახალგაზრდობას უნდა ენდო.

და ჩვენც ვენდობით.

ეს ნდობა უნდა გაამართლოთ, ახალგაზრდებო!



დაიწყო ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო" კარგად [illegible] ლი მეცადინეობისათვის.

მარცხნიდან მარჯვნივ: მაუდ-კამვოლის კომბინატის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე იური მაისურაძე, საქსოვი წარმოების პარტორგანიზაციის მდივანი ნინო ნოზაძე, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის უფროსი ცირა ბოსტოღანაშვილი, განყოფილების უფროსი პეტრე ჩხაიძე და № 24 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი ცისანა სულავა.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა)

## ჩვენი ინტერვიუ

# გენერალური კონსტრუქტორი

### ახალი თანამდებობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემუშავებისა და განვითარების დარგში

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის, სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს 1971 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს — სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს. პროფესორ შ. ი. კერესელიძეს მიენიჭა **გენერალური კონსტრუქტორის** წოდება და ამავე დროს იგი დაინიშნა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა გენერალურ კონსტრუქტორად, — განაცხადა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა **ტ. ჭეიშვილმა.**

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საგზაო მშენებლობისა და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხაზით გენერალური კონსტრუქტორის თანამდებობის დაწესება ახალი საქმეა. ჩვენს ქვეყანაში დღემდე მხოლოდ თავდაცვითი მრეწველობას ჰყავდა გენერალური კონსტრუქტორები — მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი **კონსტრუქტორების ტუპოლევის, იაკოვლევის, ლავოჩკინის, მიქოიანის** და სხვათა სახით.

ახლა კი ეს თანამდებობა დაწესებულია პასუხისმგებლობის ამაღლების, მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ტექნიკის განვითარებაში ძირითადი მიმართულებებისა და გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავების, მაღალი ტექნიკური დონის და საგარეო ბაზარზე ახალი და მოდერნიზებული მანქანების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, მათი კვანძების ძირითადი აგრეგატებისა და მასობრივი გამოყენების დეტალების რაციონალური უნიფიკაციის განხორციელების, მაქსიმალური უნიფიკაციისა და ნორმალიზაციის მიზნით.

აგრეთვე უწყებრივი დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სწორი დაგეგმვისა და კოორდინაციის, მანქანების დამზადებისა და ექსპლოატაციის ხარისხისადმი ავტორთა სისტემატური მეთვალყურეობის ორგანიზაციის, საზღვარგარეთ საბჭოთა ლიცენზიების გაყიდვის წინადადებათა მომზადების, ყველა შემსრულებლისა და თანაშემსრულებლის მიერ საკოორდინაციო გეგმების დავალებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების მიზნით და სხვ.

გენერალური კონსტრუქტორი მიმაგრებული სპეციალიზაციის დარგში ახორციელებს საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მიერ შესრულებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მეცნიერულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

გენერალური კონსტრუქტორი აღჭურვილია სოლიდური უფლებებითაც: მას უფლება აქვს წარმომადგენლობას უწევდეს სათავო ორგანიზაციას, სამინისტროს (მისი დავალებით), სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამეურნეო და სამელიორაციო ტექნიკის შექმნასთან დაკავშირებულ მეცნიერულ და ტექნიკურ საკითხებში;

მოითხოვდეს ტექნიკის შემკვეთთაგან ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანების შექმნაზე შესაბამის მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიურ დასაბუთებათა წარდგენას;

სათავო სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციებისაგან მოითხოვდეს იმ კვლევით დამუშავებათა შედეგებს, რომლებიც საჭიროა ახალი მანქანების კონსტრუქციების შექმნისა და გამოშვებული მანქანების მოდერნიზაციისათვის;

შეიტანდეს სამინისტროში დაქვემდებარების მიხედვით წინადადებანი თავისი სპეციალიზაციის საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საექსპერიმენტო-საწარმოო და საცდელ საველე ბაზების განვითარების შესახებ;

ახორციელებდეს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ საკონსტრუქტორო ორგანიზაციები დადგენილი სპეციალიზაციის მიხედვით მაღალი წარმადობის ახალი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანების შესაქმნელად მეცნიერულ-კვლევით და ტექნოლოგიურ სამუშაოთა განვითარებას ძირითად მიმართულებებს.

ტრაქტორების, ძრავებისა და მანქანების დაპროექტების ტექნიკურ დავალებათა დამტკიცება გენერალურ კონსტრუქტორთან შეუთანხმებლად — დამტკიცებული სპეციალიზაციის შესაბამისად, — როგორც წესი, არ დაიშვება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი წესი და სულ ახლახან დაწესებული ახალი თანამდებობა გენერალური კონსტრუქტორისა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემუშავებისა და განვითარების დარგში კიდევ უფრო ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშაკთა პასუხისმგებლობას და მოგვცემს თავის დადებით ნაყოფს.

## ვ. გორგანელი

# შენ სიჭაბუკე გქვია სახელად

ვიდრე კალამი ამღერდა ხელში,
ვიდრე დავჯექ და დავიწყე წერა,
მშობელი მიწა ავიღე პეშვით
და მისი გულის ვისმინე ძგერა.

სათქმელი სიტყვა ახლა თვით
მეძებს,
იების კონებს გზადაგზა
მესვრის,
რადგან მე შენზე, რადგან მე
შენზე,
მე შენზე უნდა დავწერო
ლექსი.

ახლა რომ დგეხარ სამშობლოს
მცველად
და გჯერა მტერი ცას ვერ
დანისლავს,
შენში იმ გმირის ფარ-
ხმალიც ელავს,
რომ წევს ლომივით
თმოგვთან, კრწანისთან.
ახლა რომ მინდვრად ბელტებს
აბრუნებ
და გაჭრილ ხნულებს
სიცოცხლით ავსებ,
იმ გუთნისდედის ფიქრსაც
ასრულებ,
რომ ახატავდნენ საფლავის
ქვაზე.
ახლა რომ ენგურს მკერდით
აჩერებ
და ახალ შუქთა ჩანჩქერს
მოელი,
შენში მადლია, მწამს, იმ
მარჯვენის,
რომ მოსჭრეს ოსტატს
სვეტიცხოველის.
მათ აჩრდილს ვხედავ
გადმომდგარს ქედზე,
სიტყვას მიწრთობენ წინაპრის
წესით, —
რადგან მე შენზე, რადგან მე
შენზე,
მე შენზე უნდა დავწერო
ლექსი.

სანამ არწივი ელტვის
სიმაღლეს,
მანამდის მკერდში გულია
თბილი,
სანამ სამშობლო ასე
ბრწყინვალებს,
ეგ სიჭაბუკე ამაყად ივლის.
შენთვის კამკამებს ლაჟვარდი
ცაი,
ამ მიწის მადლიც შენთვის
ანათებს,
რადგან ეგ შენი სახელი
ჰქვია,
რაც ლამაზია ამ ქვეყანაზე.
სანამ მზეს შვენის თვალის
გახელა,
თეთრი ღრუბელი შისდევს
მთის სერებს,
შენ სიჭაბუკე გქვია სახელად
და გადალახავ ყველა
სიძნელეს.
შენმა დღეებმა მე ისე
შემძრეს,
სიტყვამ უთქმელად გაგლიჯა
ბაგე...
რაც უნდა იყოს, მე მაინც
შენზე,
მე მაინც შენზე სიმღერას
დავწერ.

# „კომუნისტის" ფოსტიდან

☐ **წყალტუბო.** საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკურმა გამგეობამ „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოში მოაწყეს სამეცნიერო სესია.

მოხსენებები თემებზე — „დედამიწის სიღრმეების შესწავლის მეთოდები", „სასარგებლო წიაღისეულის ძიების გეოფიზიკური მეთოდები", „საქართველოს გეოლოგიური ისტორია და სასარგებლო ნამარხები" — წაიკითხეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ა. ბუხნიკაშვილმა, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა მ. აბაკელიამ და პროფესორმა მ. მეძველიამ.

რ. ცხაკაია.

☐ **საჩხერე.** გაიმართა ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ კედლის გაზეთების რედაქტორები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, გაზეთ „ახალი ცხოვრების" შტატგარეშე განყოფილებებისა და საგუშაგოების წევრები, აქტიური კორესპონდენტები.

მოხსენება „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და ძირეული პრესის მუშაკთა ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით" წაიკითხა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის მდივანმა უ. ჩიკვილაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კედლის გაზეთების რედაქტორებმა, პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა, აქტივისტებმა.

ო. ცარციძე.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ვ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით „სამტრესტის" გორის ქარხანამმართველოს დირექტორი ამხ. დავით ვარლამის-ძე დადიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი,
1971 წლის 24 სექტემბერი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ი. პოლიაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი მიხეილ ივანეს-ძე პოლიაკოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი,
1971 წლის 24 სექტემბერი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტმა ჩვენამდე ხელნაწერების სახით მოაღწია. ხშირ შემთხვევაში ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც სტროფული შედგენილობით, ისე ცალკეული წაკითხვებითაც. საქმეს ისიც ართულებს, რომ პოემის ტექსტის შემცველი უძველესი ხელნაწერი, რომელიც დღესდღეობით მოგვეპოვება, რამდენიმე ასეული წლით არის დაცილებული რუსთაველის ეპოქას. მაგრამ ცხადი და უდავოა ამ ხელნაწერების მნიშვნელობა: მხოლოდ მათი საშუალებით არის შესაძლებელი პოემის თავდაპირველი სახის აღდგენა. ამიტომ, ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემცველი ხელნაწერების (ისე როგორც ბეჭდური გამოცემების) ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა რუსთველოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიმართულებით ჩვენმა მეცნიერებამ უდავო წარმატებები მოიპოვა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე ჩვენ არ მოგვეპოვებოდა პოემის ტექსტის ისტორია, რაც ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური მუშაობის აუცილებელი და საიმედო საყრდენია. ეს ხარვეზი წარმატებით იქნა დაძლეული მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ს. ცაიშვილის უაღრესად საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევა ორ ტომად („ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია", გამომცემლობა „მეცნიერება", რედაქტორი აკად. ა. ბარამიძე).

ს. ცაიშვილის ნაშრომის პირველი ტომი თეორიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორიის ძირითადი საკითხების კვლევას.

„ვეფხისტყაოსნის" რედაქციების კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით მეორე ტომში დალაგებულია და მეცნიერულად არის აღწერილი დღესდღეობით ცნობილი ყველა ხელნაწერი და ცალკეული ფრაგმენტები (162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი), რომელთა ერთი ნაწილი თვით ავტორის მიერ არის გამოვლენილი.

ამ ზოგად მინიშნებათა საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ ს. ცაიშვილის ნაშრომის თემა უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია. მხოლოდ ტექსტის ისტორიის დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი ამ ტექსტის ლიტერატურულ-ისტორიული თუ ლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლა. ამდენად, ტექსტის ისტორიის დადგენა ტექსტის მეცნიერული დადგენის აუცილებელი პირობაა. ჩვენ ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დიდი და საპატიო საქმე („ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორიის მეცნიერული სურათის აღდგენა) დღეისათვის წარმატებით არის შესრულებული.

ნაშრომის ავტორი სწორ მეთოდოლოგიურ ნიადაგზე დგას. ის ზედმიწევნით ფლობს და წარმატებით იყენებს თანამედროვე ფილოლოგიურ მიღწევებს. მაგრამ ს. ცაიშვილი არ იზღუდება კვლევის აღიარებული მეთოდებით და ხშირად ორიგინალურად და ახლებურად უდგება ამა თუ იმ საკითხს.

პოემის ტექსტის რედაქციებად დაჯგუფების დროს სხვა მონაცემებთან ერთად ს. ცაიშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას სტროფულ შედგენილობას ანიჭებს.

„ვეფხისტყაოსნის" ცალკეული ნაწილების (პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთი, გაგრძელებები) ყოველმხრივმა ანალიზმა ავტორი დაარწმუნა, რომ პოემის შუა მონაკვეთი არის ყველაზე სტაბილური ნაწილი და ამავე დროს, შედარებით თავისუფალია შემთხვევითი დეფექტებისაგან. ამ დასკვნამ კი კვლევის მიმართულებაც განსაზღვრა: სტროფული შედგენილობის მიხედვით ტექსტების რედაქციულ ჯგუფებად დაყოფის დროს ძირითადი ყურადღება პოემის შუა მონაკვეთს დაეთმო (პირველი თავიდან ე. წ. „ხვარაზმელთა ამბამდე").

ამრიგად, ავტორის მიერ წარმოებული კვლევა-ძიება ყოველთვის მტკიცე საყრდენს პოულობს და კვლევის მიმართულებაც მკაცრად არის განსაზღვრული. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის შემცველ ხელნაწერებზე დაყრდნობით ს. ცაიშვილმა კვლავ ნათელყო, რომ ამა თუ იმ ხელნაწერის სიძველე ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრივ ტექსტის სიძველეს და შესაძლებელია შედარებით მოგვიანო ხანის ნუსხაში წარმოდგენილი იყოს უფრო ძველი და არქაული ტექსტი, ვიდრე ძველ ხელნაწერში. ავტორის ფხიზელ თვალს არც ის გამოეპარა, რომ ტექსტის ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა ძეგლის ავტორისა და მისი გამგრძელებლების მსოფლმხედველობას, იდეოლოგიას და ეპოქის ძირითად ტენდენციებს. ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მეცნიერული სურათი მოცემულია კლასიკური და მომდევნო პერიოდის მწერლობასთან მჭიდრო კავშირში და, ამდენად, იგი თითქოს სცილდება საკუთრივ თავის დანიშნულებას და გარკვეული თვალსაზრისით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ძველი ქართული მწერლობის განვითარების თავისებურებებზე.

ხელნაწერების დაკვირვებული შესწავლისა და მათი გულდასმით შეჯერების საფუძველზე ს. ცაიშვილმა გამოჰყო ოთხი ძირითადი რედაქციული ჯგუფი, რომლებმაც უკვე აღიარება ჰპოვა თანამედროვე რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში.

რედაქციების თანმიმდევრობის განსაზღვრა გარკვეულ პრინციპზეა დამყარებული. ს. ცაიშვილის აზრით, პოემის სტროფული შედგენილობის ყველაზე არქაული სახე სახელდობრ პირველმა რედაქციამ შემოგვინახა. მეორე და მესამე რედაქციების ჩამოყალიბება ტექსტის განვითარების მომდევნო ეტაპებს წარმოადგენენ. რაც შეეხება მეოთხე რედაქციას, როგორც ამას ავტორი ასაბუთებს, იგი შედარებით მოგვიანო პერიოდშია შექმნილი. ამრიგად, ს. ცაიშვილის მიერ გამოყოფილ რედაქციათაგან პირველი რედაქციები, შედგენილობის თვალსაზრისით, უფრო არქაულია. ამასთან, უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორის მეორე დასკვნასაც, სახელდობრ იმას, რომ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ცალკეული რედაქციები მეტნაკლებად დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა.

ამდენად, პოემის დამახინჯებული წაკითხვების გამართვის დროს თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს ოთხივე რედაქციას და მათში შემავალ ხელნაწერებს (ნუსხების ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით). რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" სტროფული შედგენილობის შემდგომ დახვეწას, აქ აშკარა პრიორიტეტი უნდა მიეცეს პოემის შედარებით ძველ (პირველსა და მეოთხე) რედაქციებს. თუმცა ამ თვალსაზრისით საკითხის კვლევის დროს, მეორე და მესამე რედაქციების მონაცემებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. ჩვენი აზრით, ს. ცაიშვილის ამ დაკვირვებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მეცნიერულად დადგენის რთულ და საპატიო საქმეში.

ამრიგად, ნაშრომის პირველ ტომში ძირითადად „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის რედაქციებზეა საუბარი. ძირითად რედაქციათა შიგნით გამოყოფილია ქვერედაქციები, მინიშნებულია ცალკეული რედაქციების სავარაუდებელი პროტოგრაფები, დეტალურად არის შესწავლილი ხელნაწერები და გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება. საყურადღებო და საინტერესოა ს. ცაიშვილისეული ფინების თეორია, ჩანართი სტროფების წარმოშობა-განვითარების სურათი და თარიღის განსაზღვრა. ერთი სიტყვით, ნაშრომში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის განვითარების ყველა ეტაპი უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, როცა, ავტორის სიტყვით, „შეწყდა ძველი რედაქციების გადაწერა და მათი ადგილი გამოცემებმა, ან გამომცემელთაგან გადაწერილმა ნუსხებმა დაიკავეს".

მაგრამ ს. ცაიშვილი მხოლოდ აღნიშნული საკითხების კვლევით როდი იფარგლება. ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის" კვლევის ისტორია. მაგალითად, ავტორი ვრცლად და საფუძვლიანად განიხილავს რუსთაველის პოემის ბეჭდურ გამოცემებს. ამით ს. ცაიშვილი წარმატებით აგრძელებს გამოცემათა მონოგრაფიულად შესწავლის იმ დიდ საქმეს, რაც ასე ბრწყინვალედ დაიწყო აკად. ა. შანიძის მიერ ვახტანგისეული გამოცემისადმი მიძღვნილი შრომით.

საკვლევი საკითხებისადმი უაღრესად ღრმა და მეცნიერული დამოკიდებულების ერთ-ერთი ნიმუშია ნაშრომის მესამე თავი — „ვეფხისტყაოსნის რედაქციები" (ზოგადი მიმოხილვა). ჩვენი ავტორისათვის სავსებით ნათელია, რომ ნაწარმოების ტექსტის ისტორიის შესწავლა არ უნდა შემოიფარგლოს ტექსტის თანდათანობით ცვლილებებისა და ურთიერთმიმართების დადგენით; საჭიროა ამ დაფარული მიზეზების მიგნება და გაანალიზება, რამაც ამა თუ იმ ტექსტის ცვლილებები გამოიწვია. შეუძლებელია ამგვარი სახეცვლა უბრალო მექანიკურ პროცესად მივიჩნიოთ. მას მყარი საფუძველი აქვს და მტკიცედ არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულთან და სხვადასხვა საუკუნეთა მხატვრული მიდრეკილებების თავისებურებებთან. ამ გზით წარმართულ იდეებს, ცხადია, სასურველი და საყურადღებო შედეგები უნდა მოჰყვა. აღნიშნულ თავში გამოვლენილია „ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლაციების წყაროები (შაჰნამეს ქართული ვერსიები, ქართლის ცხოვრება, სასულიერო მწერლობის ძეგლები და სხვ.). აქვე სრულიად უეჭველად არის დადასტურებული ხალხური ტარიელიანის ნაკვალევის არსებობა „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთ ვარიანტში.

ს. ცაიშვილის მონოგრაფიული ნაშრომის მეორე ტომში ერთად არის თავმოყრილი, სათანადო რედაქციების მიხედვით დალაგებული და მეცნიერულად აღწერილი ყველა ის ხელნაწერი, რომელზეც ჩვენს მეცნიერებას დღესდღეისობით ხელი მიუწვდება. ასეთი სამუშაო დღემდე ჩატარებული არ ყოფილა. ამ ტომის პრაქტიკული მნიშვნელობა სავსებით ცხადი და უდავოა. ის უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს „ვეფხისტყაოსნის" შესწავლით დაინტერესებულ პირთ. ამავე ტომში საუბარია „ვეფხისტყაოსნის" ამჟამად ცნობილ ხელნაწერთა ვითარებაზე, პლატონ იოსელიანის ცნობებზე პოემის ძველი ხელნაწერების შესახებ, კათალიკოს კირიონის საგულისხმო დაკვირვებებზე და სხვ.

ჩვენი რეცენზია, რა თქმა უნდა, მეტად ზოგად შთაბეჭდილებას თუ შეუქმნის მკითხველს ს. ცაიშვილის მონოგრაფიული ნაშრომის ღირსებაზე, მაგრამ ვფიქრობთ, ამთავითვე ნათელი უნდა იყოს განხილული ორტომეულის მნიშვნელობა. ფაქტიურად ეს არის პირველი მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორიის შესახებ. პირველწყაროების შედარებითი შესწავლის საფუძველზე ავტორმა შეიმუშავა გარკვეული კონცეფცია, გამოიტანა საყურადღებო დასკვნები და წარმატებით აღადგინა პოემის ტექსტის განვითარების მეცნიერული სურათი. სავსებით ნათელია ტექსტის ისტორიის შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობაც. ავტორის სიტყვით, „იგი გვაძლევს შესაძლებლობას ნათლად გავერკვეთ ჩვენთვის საჭირო მასალებში, ამოვარჩიოთ ტექსტის საუკეთესო რედაქციები და ობიექტური მონაცემების მიხედვით თანმიმდევრულად დავადგინოთ ამა თუ იმ ნაწარმოების ტექსტი".

სარგის ცაიშვილის ორტომეული „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია" მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევაა. იგი უეჭველად თავის წვლილს შეიტანს შოთა რუსთაველის პოემის ყოველმხრივი შესწავლის საშვილიშვილო საქმეში.

ვ. ბაქაშვილი.

# ვეტერანები მოსკოვს მიემგზავრებიან

პატივისცემით არიან გარემოსილი თბილისის პარტიის კალინინის რაიკომთან არსებული ვეტერანთა საბჭოს წევრი ძველი ბოლშევიკები. რაიკომის ყოველ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში ისინი უშუალოდ მონაწილეობენ.

ისინი დღესაც შეიკრიბნენ თავიანთ მორიგ „ძველი ბოლშევიკის დღეზე", რომელიც ყოველთვიურად იწყობა რაიკომში. განიხილეს მუშაობის გეგმა, დასახეს ღონისძიებანი. აი ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება — 20 ძველი ბოლშევიკი ექსკურსიაზე მიემგზავრება მოსკოვში, ისინი ეწვევიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის კალინინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას, შეხვდებიან ახალგაზრდობას, პარტიის ვეტერანებს, რაიონის მუშებსა და ინტელიგენციას, მოაწყობენ ექსკურსიებს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებულ, საბრძოლო დიდების ადგილებში. პარტიის ქართველი ვეტერანები ინახულებენ კრემლს, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმსა და მუზეუმს, დაათვალიერებენ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს.

გულთბილი სიტყვებით დაულოცა გზა მათ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. რიგვავამ.

პარტიის ქართველი ვეტერანები ოთხ დღეს დარჩებიან მოსკოვში. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

□



# ქობულეთი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

მ. გორგილაძე

### სიცოცხლის ელექსირი

როგორც კი ალაყაფის კარს შეაღებთ, უმალვე ხულ სხვა სამყაროში მოხვდებით. ცადაწვდილი ევკალიპტის, ნაძვისა და ფიჭვის ხეივნებში სასიამოვნო მყუდროება და სიგრილე დასადგურებულა. ხეივანს გასდევს დეკორატიულ მცენარეთა გაზონები, იქით კი მოჩანს ვეებერთელა ხათბურები და მარადმწვანე მცენარეთა პლანტაციები.

ეს არის სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საბჭოთა მეურნეობა და არომატულ და სამკურნალო მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური სამეცნიერო სადგური.

მეურნეობაში გაშენებულია უიშვიათესი სამკურნალო მცენარეულობა, აქ შეხვდებით სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ინდოეთის, ჩინეთის, ავსტრალიის სამკურნალო მცენარეებს. სამეცნიერო სადგური კომპლექსურია, ბოტანიკოსებს გამოჰყავთ ახალი ჯიშები, ახდენენ მცენარეთა აკლიმატიზაციას, ხოლო ქიმიურ ლაბორატორიებში ახალი პრეპარატების ტექნოლოგიას იკვლევენ.

### კურორტი ფრთებს შლის

ქობულეთის სანაპირო ადგილებმა საკავშირო აღიარება ჰპოვა. ამიტომაც გადაწყდა აქ გაიშალოს ფართო საკურორტო მშენებლობა. ფიჭვნარიდან მწვანე კონცხამდე აშენდება სასტუმროები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები. ფიჭვნარში სანაპიროზე უკვე აღიმართა პირველი ცათამბჯენი, მომავლისათვის დაგეგმილია შეიქმნას ისეთივე კომპლექსი, როგორიც ბიჭვინთაშია. ზოზოყვათის ზაქანთან ჩქარი ტემპით მიმდინარეობს 14-სართულიანი სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა.

თუ დღეს ქობულეთში ყოველწლიურად ასი ათასამდე დამსვენებელი ჩამოდის, უახლოეს დროში ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მთელი სანაპირო გადაიქცევა ერთ-ერთ ულამაზეს ზღვისპირად.

### ერთადერთი

ქობულეთის ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა ერთადერთია მთელ კავშირში. ამიტომაც მის დეფიციტურ პროდუქციაზე განსაკუთრებული მოთხოვნილებაა.

ქარხნის წინაშე მიმდინარე ხუთწლედში ახალი ამოცანები დგას გადასაწყვეტად, მათ 70 პროცენტით უნდა გაზარდონ პროდუქციის გამოშვება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქარხანამ უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 68 ათასი ტონა ნაყოფი. ჩვენი ქვეყნის მრეწველობა ძვირფას ზეთს ელოდება ქობულეთელი მეტუნგეებისაგან.

სურათზე: კურორტი ციხისძირი.

ფოტო ს. ანჟელოსი.

## შემთხვევა

□

# ცოდნა და მოსაზრებულობა

წლეულს დაამთავრა გ. კილასონიამ ათი კლასი და სამუშაოდ მშობლიურ სოფელშივე (აბისი, ქარელის რაიონი) დარჩა. ამას წინათ იგი მეზობელს მანქანის რეცხვაში ეხმარებოდა. საქმე მოთავა და ონკანზე წამოცმული რეზინის მილით წყლის ნაკადი რატომღაც მაღალი ძაბვის ხაზისაკენ მიმართა. მოულოდნელად იგი დაეცა და ერთიანად გაშავდა.

იქ მყოფნი დაიბნენ, ვერ გაიგეს, ბიჭს რა დაემართა. მერელა მიხვდნენ, რომ ელექტრობა წყლის ნაკადს გამოჰყოლია. დაფეთებული თანასოფლელები მისცვივდნენ, მაგრამ რაღა შეეძლოთ, მას სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა...

საიდღანაც კოლმეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადირმა ფ. ყიფშიძემ მოირბინა. როცა გაერკვა, მაშინვე თადარიგი მხნედ დაიჭირა — თანასოფლელები ა. ნიორაძე, ო. ბორტიშვილი, მ. და ო. კვინიკაძეები დაიხმარა. მათ რის ვაივაგლახით მოულუნეს ჯერ ერთი ფეხი, მერე — მეორე. საქმე ახლა მკლავების მოლუნვასა და გაშლაზე მიდგა. გვერდების მასაჟითა და კიდურების მოძრაობით შეეცადნენ ხელოვნური სუნთქვის გამოწვევას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო.

ფ. ყიფშიძემ ბიჭებს დაავალა, კიდურების მოძრაობა არ შეეწყვიტათ, თვითონ კი სოლად წათლილი ჯოხით კრიჭა ძლივს გაუხსნა. მერე ხახაში ჩავარდნილი ენა ამოუწია და... თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გ. კილასონია მოცოცხლდა. ამასობაში რაიონული საავადმყოფოს სასწრაფო დახმარებაც მოვიდა და წარმატებით დაწყებული საქმე მედიცინის მუშაკებმა განაგრძეს.

ორიოდე საათის შემდეგ გ. კილასონია უკვე ფეხზე იდგა და შინ თავისით წავიდა. სასწრაფო დახმარების მუშაკებიცა და თანასოფლელებიც ფ. ყიფშიძეს წინდახედულობისა და მოსაზრებულობისათვის მადლობას უხდიდნენ.

გ. ბუთხუზი.

## საქართველოს საზღვაო სანაოსნოში

□

# მეზღვაურები დაეხმარნენ

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ანაპის“ მეზღვაურებმა ღია ზღვაში გემბანზე აიყვანეს იტალიის თევზსაჭერი გემის „პაოლო ფრანჩესკოს“ ორი მეზღვაური. ერთ-ერთ მათგანს დაზიანებული ჰქონდა ხელი. სამედიცინო დახმარების შემდეგ ავადმყოფი გემზე მოათავსეს. ხოლო მკურნალობის შემდეგ, როცა უკეთ გახდა თავის გემზე მიიყვანეს. ეს შემთხვევა „ანაპის“ კაპიტანმა ვ. მოროზოვმა საქართველოს სანაოსნოს რადიოთი აცნობა. „პაოლო ფრანჩესკოს“ კაპიტანმა კრეიმა ჯიროლამომ ჩვენს მეზღვაურებთან საუბარში განაცხადა, რომ მას და მის ამხანაგებს საბჭოთა მეზღვაურები ამ მოკლე დროში მეორედ შველიან. პირველად ეს მოხდა 1969 წელს, როცა საბჭოთა ხომალდმა „მერკურიმ“ ისინი ძლიერი შტორმის დროს ხიფათს გადაარჩინა. (საქ. კორ.).

## ტანკერი რემონტს არ ითხოვს

სანაოსნოს ხომალდები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში გემის სამსახურის ვადის გახანგრძლივებისათვის.

შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ტანკერ „იზიასლავის“ ეკიპაჟმა. ვალდებულებით ამ გემს 3 წლიწადს უნდა ემუშავა საქარხნო შეკეთების გაუვლელად. ხომალდის სანავიგაციო და საექსპლოატაციო ტექნიკის სანიმუშო მოვლით „იზიასლავი“ მეოთხე წელია არ ითხოვს საქარხნო შეკეთებას, თან გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მოპოვებული წარმატებებისათვის ტანკერი დააჯილდოეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და ფლოტის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ქების სიგელით. (საგ. კორ.).

## ატლანტიკის თევზი

ტრაულერმა „ბათუმმა“ თავის ბოლო რეისში ბაზაში ჩამოიტანა 475 ტონა თევზი, რომელიც შორეულ ატლანტიკის ოკეანეში დაიჭირეს. თევზეულის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიგზავნა თბილისში, ქუთაისში, ზესტაფონში, სოხუმში და აჭარის სავაჭრო ორგანიზაციებში.




## გუშინ, დღეს...

გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

კიევის დინამოელებმა უკვე ჩვენი ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონების რანგში სეზონის ბოლომდე დარჩენილი მატჩებიდან პირველი სტუმრად ითამაშეს მოსკოვის „ტორპედოსთან“. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1.

ალმა-ატის კაირატმა საკუთარ მოედანზე მიიღო ტაშკენტის „პახტაკორი“. მატჩის შედეგია 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება ჩემპიონატის ხუთი შეხვედრა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების მატჩები. ერევნის „არარატი“ დონეცკში ხვდება ადგილობრივ „შახტიორს“, თბილისის დინამოელები მასპინძლობენ გათამაშების აუტსაიდერს დონის როსტოვის სკა-ს, ვოროშილოვგრადის „ზარია“, საკუთარ მოედანზე იღებს ბაქოს „ნეფტჩის“. მოსკოვში ერთმანეთს ხვდებიან „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“, ლენინგრადში — „ზენიტი“ და ცსკა.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები პოლონეთის ქალაქ კოზენიცში დამარცხდა თანატოლებთან — პოლონეთის გუნდთან ამხანაგურ მატჩში — ანგარიშით 1:2.

## საკავშირო-საჭადრაკო

# ტალი — ერთპიროვნული ლიდერი

ლენინგრადი, („კომუნისტის“ კორ.). მეთერთმეტე ტურით დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე ნახევარი.

მონაწილენი ახლა შეიძლება პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. გროსმაისტერების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ჩემპიონობისათვის იბრძვის, ოსტატებს კი თავიანთი დარდი აქვთ — ტურნირში დაწესებულია გროსმაისტერისა (11,5 ქულა) და საერთაშორისო ოსტატის (8 ქულა) წოდებების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა ნორმა. ამ მეორე ნორმის შესრულების შანსებს ჯერჯერობით ყველა ოსტატი ინარჩუნებს, ისინიც კი, ვინც შეჯიბრება წარუმატებლად დაიწყო.

მეთერთმეტე ტურის დიდი სენსაცია იყო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტის დ. ბრონშტეინის მარცხი ერევნელ ოსტატ კ. გრიგორიანთან (ეს ოსტატი ცნობილი სომეხი პოეტის ამოტ გრაშის ვაჟია). ფრიად წარუმატებელი სტარტის შემდეგ კ. გრიგორიანმა შესამჩნევად გამოასწორა თამაში და ზედიზედ მეორე პარტია მოიგო. სამაგიეროდ, მეორე ერევნელი რ. ვაგანიანი ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა — ამჯერად მ. ცეიტლინთან. კარგი სტარტის (1 მოგება და 6 ყაიმი) შემდეგ რ. ვაგანიანმა მკვეთრად გაიუარესა მდგომარეობა.

მ. ტალმა თეთრებით სძლია ი. ბალაშოვს და 8 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ნიკოლაევსკი-ი. პლატონოვი, ა. კაპენგუტ-ა. კარპოვი და ლ. შამკოვიჩ-მ. ტაიმანოვი.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. რ. ჯინჯიხაშვილს ზედმეტი პაიკი აქვს ვ. სმისლოვთან გადადებულ პარტიაში.

მეთორმეტე ტურში მ. ტალი შავებით ეთამაშება ლ. პოლუგაევსკის, რ. ჯინჯიხაშვილი თეთრებით — ი. ბალაშოვს.

## მეტოქენი ცნობილი არიან

ბელგრადში სასტუმრო „იუგოსლავიაში“ ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირმა — უეფამ — მოაწყო კონტინენტის სამი ტრადიციული გათამაშების მეორე ეტაპის წილისყრა.

მოსკოვის ცსკა ჩემპიონთა თასის მერვედფინალში 20 ოქტომბერს მოსკოვში და 3 ნოემბერს ლიეჟში შეხვდება ბელგიის ჩემპიონ „სტანდარდს“.

სტამბოლელები ამჯერად მეორე საბჭოთა გუნდს იხილავენ. მოსკოვის „დინამოს“ თასების თასზე აქ 20 ოქტომბერს მერვედფინალის მატჩი ექნება ადგილობრივ „ესკიშახირსპორთან“. განმეორებითი ასპარეზობა გაიმართება მოსკოვში 3 ნოემბერს.

მოსკოვის „სპარტაკს“ წილისყრამ მეტოქედ არგუნა პორტუგალიის ქალაქ სეტუბალის „ვიტორია“. უეფას თასზე „სპარტაკი“ ორ მეთექვსმეტედ ფინალურ მატჩს გამართავს ამ კლუბთან.

„სტანდარდი“ მეექვსეჯერ მონაწილეობს ამგვარ შეჯიბრებაში. წელს მან ორჯერ დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონი „ლინფილდი“ — 2:0 და 3:2. „ესკიშახირსპორმა“ სტუმრად ფრედ 0:0 ითამაშა ფინეთის „მიკელისთან“, შინ კი გაიმარჯვა 4:0. „ვიტორიამ“ საკუთარ მოედანზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა საფრანგეთის „ნიმი“, სტუმრად კი წააგო 1:2. სხვის მოედანზე გატანილმა ამ ერთადერთმა ბურთმა მას ბრძოლის განგრძობის საშუალება მისცა.

# თქვენ როგორ ფიქრობთ?

მაშ ასე, დაიწყო მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინისათვის ბორის სპასკის მეტოქის შერჩევის პრეტენდენტების ტიგრან პეტროსიანისა და ამერიკელ რობერტ ფიშერის ფინალური მატჩი, რომელსაც აგრერიგად ელოდა მთელი საჭადრაკო სამყარო.

გაზეთებმა მრავალი პროგნოზი გამოაქვეყნეს მატჩის შედეგის თაობაზე. „კომუნისტმა“ ბევრი მათგანი დაბეჭდა. თავიანთი აზრი გამოთქვეს სახელგანთქმულმა გროსმაისტერებმა, სპეციალისტებმა. ამასთან რედაქციას წერილები მოსდის ჭადრაკის მოყვარულებისგანაც. ისინი თავის მხრივ აფასებენ მეტოქეთა შესაძლებლობებს, გამოთქვამენ თავიანთ პროგნოზებს — ერთნი უპირატესობას მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ანიჭებენ და გამარჯვებასაც მას უქადიან, მეორენი — რ. ფიშერს.

საინტერესოა, რომ გამართლდა ერთი მკითხველის (სამწუხაროდ, იგი თავის გვარს რატომღაც არ ასახელებს) პირველი პროგნოზი — მატჩს თეთრებით ფიშერი დაიწყებსო.

პირველი პარტიის შედეგი უკვე ცნობილია. იგი ფიშერმა მოიგო. მაგრამ წინ არის დაძაბული, საინტერესო, უკომპრომისო ბრძოლის 11 ტური.

და აი რედაქცია თავის მკითხველებს სთავაზობს ერთგვარ კონკურსს — ვინ გაიმარჯვებს მატჩში? რა ანგარიშით?

ველით თქვენს წერილებს.

# მეგობრის ხსოვნას



გარდაიცვალა ქსენია დავითის ასული ქორელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს რესპუბლიკური ინფორმაციის რედაქციის მთავარი რედაქტორი, სკპ წევრი 1953 წლიდან, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, გულითადი ადამიანი და შესანიშნავი მეგობარი.

თავისი საქმის უსაზღვროდ ერთგული ქსენია ქორელი მძიმე ავადმყოფობის ჟამსაც კი განაგრძობდა მუშაობას, მთელ ძალღონეს ახმარდა საბჭოთა პრესის მუშაკის რთულ პროფესიას.

ქსენია ქორელი, რომელმაც საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა კოლექტივში, არაერთხელ აურჩევიათ საქდესის პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

მუდამ გულისხმიერი, საზრიანი ჟურნალისტი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას, სხვებსაც ძალასა და ხალისს მატებდა, გულუხვად უზიარებდა თავის დიდ გამოცდილებასა და ცოდნას. მან ბევრი ახალგაზრდა ჟურნალისტი აღზარდა.

ქსენია ქორელი დაიბადა თბილისში 1916 წელს. შრომითს ცხოვრებაში 16 წლისა ჩაება. 1948 წელს, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მან ჟურნალისტობა დაიწყო. იგი იყო საქდესის კორესპონდენტი, რედაქტორი, ბოლო წლებში კი ხელმძღვანელობდა სააგენტოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს — რესპუბლიკური ინფორმაციის მთავარ რედაქციას.

მრავალფეროვანი იყო მისი საქმიანობა. ყოველდღიურად საქართველოს მრავალი ათეული გაზეთი, ტელევიზია და რადიო იღებდნენ ახალი ამბების ნაკადს, რომელსაც უნარიანად წარმართავდა ქსენია ქორელი.

მისი დამსახურება დიდად დაფასდა. ქსენია ქორელს მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. იგი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „მამაცური შრომისათვის“, „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად“, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

შესანიშნავი მეგობრისა და კოლეგის ხსოვნა მარად დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა ქსენია ქორელს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა, საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

# ადამიანის უძველესი საქმიანობის გამოფენა

BUDAPEST 1971

30 სექტემბერს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დაიხურა მსოფლიო სამონადირეო გამოფენა. მასში მონაწილეობდა მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყანა. საბჭოთა პავილიონში ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს წარმტაცი ბუნება, ნადირობით მოპოვებული საუკეთესო ნადავლი.

სექტემბერში გამოფენა ინახულა ამიერკავკასიის სამონადირეო ორგანიზაციების ერთმა ჯგუფმა.

უნგრეთი განთქმულია მდიდარი სამონადირეო წარსულით, სამონადირეო კულტურის მაღალი დონით, ლამაზი ბუნებით, ფაუნის წარმომადგენელთა მრავალფეროვნებით — ამიტომ არის, რომ უნგრეთის სამონადირეო მეურნეობებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. საერთაშორისო გამოფენებზე უნგრელი მონადირეების მიერ მოპოვებული სამონადირეო ნადავლი ყოველთვის იკავებს საუკეთესო ადგილებს საუკეთესოთა შორის.

ზუსტად ასი წლის წინათ 1871 წელს პირველად მსოფლიოში უნგრეთში გაიმართა უნგრეთის სამონადირეო გამოფენა, რომელზეც ნადავლის შეფასება ხდებოდა სპეციალური საბალო სისტემით.

ამიტომ არც არის გასაკვირველი, რომ მსოფლიო სამონადირეო გამოფენის ადგილად არჩეულ იქნა მდინარე დუნაიზე მდებარე ულამაზესი ქალაქი ბუდაპეშტი.

მსოფლიოს სამონადირეო გამოფენის მოწყობის აზრი სწორედ უნგრეთში დაიბადა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. მას მხარში ამოუდგნენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიც არის მსოფლიოს სამონადირეო საბჭო, საერთაშორისო გამოფენების ბიურო, ფრინველთა დაცვის კავშირი, წყლის ცხოველთა დაცვის კავშირი, მეძაღლეობის საზოგადოება და მეთევზეთა კავშირი.

უნგრეთს ერთ-ერთი წამყვანი და საპატიო ადგილი უჭირავს ბუნების დაცვის საქმეში, იქ სანიმუშოდ არის მოწყობილი სამონადირეო მეურნეობები და საზღვარგარეთელ ტურისტთა რაოდენობა კოლოსალურ ციფრს აღწევს. ამიტომ ზილეს მათ ინიციატივა და მრავალი ქვეყნის მხარდაჭერაც ჰპოვეს მსოფლიოს სამონადირეო გამოფენის ორგანიზაციაში.

ბუდაპეშტის მსოფლიო გამოფენამ მიზნად დაისახა გარდა მთავარი ამოცანისა — ნადირობის და ნადირობისმცოდნეობის განვითარების ჩვენებისა, მსოფლიოს ხალხები გაეცნო თანამედროვე ადამიანის კავშირისათვის ბუნებასთან. ამაზე მეტყველებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული სამონადირეო ნადავლი, ბუნების დაცვის სახალხო საქმედ ქცევა.

ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპები, გაჭუჭყიანებული ჰაერი და წყლები, ურბანიზაცია უარყოფითად მოქმედებს ცხოველთა სამყაროზე. მსოფლიოს საგანძურის — ბუნების დაცვა — აი გამოფენის მთავარი იდეა. ბუნების დაცვა ხომ კაცობრიობის დაცვაა. ამას ემსახურება ბუდაპეშტის ექსპოზიცია, რომელიც მოეწყო დევიზით „ადამიანი და ბუნება“.

მსოფლიოს სამონადირეო გამოფენის ტერიტორიას რომ გასცდებით, თქვენს წინ აღიმართება არქიტექტურული ხელოვნების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შესრულებული საპარადო პავილიონი. მანამდე უნდა გაიაროთ გამოფენაზე მონაწილე ქვეყნების დროშების ხეივანი.

ამ პავილიონში უნგრული ანბანის მიხედვით განლაგებულია გამოფენაზე მონაწილე ქვეყნების ლამაზად გაფორმებული სტენდები. სტენდებზე გამოფენილია ქვეყნების სამონადირეო ნადავლის საუკეთესო და დამახასიათებელი ნიმუშები — ექსპონატები, რითაც ამაყობს ესა თუ ის ქვეყანა. შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს არის წარწერა „ბუნების დაცვა ჩვენი დაცვაა“.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ექსპოზიციაში კონცენტრირებულია სამონადირეო მეურნეობის განვითარების პრობლემები, გარეულ ცხოველთა მკურნალობის მეთოდები, მხეცთა და ფრინველთა ბიოლოგია.

ექსპოზიცია გვიჩვენებს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში მექანიზაციისა და ქიმიზაციის გამოყენების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ტექნოლოგიას. აგრეთვე გარეული ცხოველების დამატებით გამოკვლევისას სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა მკურნალობის მეთოდებს.

გამოფენის მნახველთა შორის ყველაზე პოპულარულია საბჭოთა პავილიონი, რომელსაც 1.400 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს.

საბჭოთა კავშირის სამონადირეო მიღწევების ექსპოზიცია ნათლად გვიჩვენებს ჩვენი მონადირეების მუშაობის სახეს — მთაგორიანი თუ ველის იშვიათი ფაუნის წარმომადგენელთა სიუხვე მათ მიერ ბუნების სიმშვენიერის თავდადებული დაცვის მაგალითია. ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის — არქტიკის, სუბარქტიკის, ტუნდრის, ტაიგის, ევროპული ნაწილის, შორეული აღმოსავლეთის, ველების, უდაბნოების, კავკასიის, შუა აზიის და კარპატების მთების ფლორისა და ფაუნის. წარმომადგენლები და ბუნებრივი ლანდშაფტები ისე კარგად არის დამაკეტებული ზოოგეოგრაფიის განყოფილებაში, რომ მნახველს ჰგონია, თითქოს სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა კიდით კიდემდე შემოიარა.

საბჭოთა ქვეყნის გარშემო ამ მოგზაურობას თან სდევს მგალობელ ფრინველთა ჭიკჭიკი.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია ამ გრანდიოზულ გამოფენაზე მიღებულ შთაბეჭდილებათა გადმოცემა, გვინდა შევჩერდეთ და მოკლედ მოგითხროთ გამოფენის მხოლოდ დამახასიათებელ მომენტებზე.

ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის კონტინენტების ქვეყნებმა ბუდაპეშტის მსოფლიო გამოფენაზე წარმოადგინეს თავიანთი ფლორისა და ფაუნის საოცრებანი. მათ სამონადირეო ნადავლთან ერთად უჩვენეს მსოფლიოს ხალხების უძველესი საქმიანობა — ნადირობის საშუალებანი ქვის ხანიდან თანამედროვე ეტაპამდე.

ბუდაპეშტში მსოფლიო სამონადირეო გამოფენის პარალელურად მოეწყო ნადირობის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, წიგნების საერთაშორისო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ბუნებასთან ადამიანის კავშირს. მარკების საერთაშორისო გამოფენა მიეძღვნა ბუნებას და ნადირობის საშუალებებს, მოეწყო აგრეთვე საერთაშორისო ფოტოგამოფენა „ადამიანი და ბუნება“, ნადირობისადმი მიძღვნილი სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა, კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი ბუნების თემაზე. მსოფლიოს ქვეყნების სამონადირეო იარაღების ისტორიის გამოფენა და სანადირო ძაღლების გამოფენა-კონკურსი.

მსოფლიოს სამონადირეო გამოფენა ბუდაპეშტში ინახულა საბჭოთა კავშირის 400-ზე მეტმა სპეციალისტმა, მათ შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილ სამონადირეო მეურნეობის წარმართვის გამოცდილებას ფართოდ გამოიყენებენ საბჭოთა კავშირის ნადირობისმცოდნე სპეციალისტები.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს გამოფენაზე საქართველოს სამონადირეო ორგანიზაციები პირველად მონაწილეობენ, მათ დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ქვეყნის საერთო წარმატებაში, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილმა სამონადირეო ნადავლმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა. უმაღლესი შეფასება მიიღო ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ბიოლოგ-ნადირობისმცოდნის ა. პეტრიაშვილის მიერ მოპოვებულმა ჯიხვის რქებმა, ხოლო საქართველოს მონადირეთა კავშირის წევრის შ. დოლიძის პოინტერის ჯიშის ძაღლმა „ლედიმ“ მსოფლიო გამოფენაზე მოიპოვა მსოფლიოს და უნგრეთის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი.

ოქროს მედლები მიეკუთვნა აგრეთვე ლაგოდეხის ნაკრძალის ბიოლოგ-ნადირობისმცოდნის ა. პეტრიაშვილის მიერ მოპოვებულ მგლის თავის ქალას, „მონკავშირის“ ცნობილი ტაქსიდერმისტის გ. ზახაროვის მიერ მოპოვებულ გარეული ღორის ეშვებს და საქართველოს მონადირეთა კავშირის მიერ გამოფენაზე გაგზავნილ ნიამორის ორ რქას.

ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ა. პეტრიაშვილის მიერ მოპოვებულმა ჯიხვის რქებმა და გ. ზახაროვის დათვის ქალამ.

სპეციალური დიპლომით და ჟეტონით დაჯილდოვდა ყორულის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის დირექტორის ზ. ლოშიაშვილის მიერ მოპოვებული დათვის თავის ქალა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1895 წ. ბორჯომის ტერიტორიაზე მოპოვებული უნიკალური ირმის რქებიც, მსოფლიო ჩემპიონობის ღირსი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა მათი წონის დადგენა. რქები გამოფენილი იყო საბჭოთა პავილიონის ცენტრალურ ადგილას და მნახველთა დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ბუდაპეშტის მსოფლიო სამონადირეო გამოფენა მსოფლიოში ასეთი დიდი მასშტაბით ჩატარებული პირველი ღონისძიებაა, რომელმაც ნათლად გვიჩვენა ბუნების დაცვის აუცილებლობა თანამედროვე ეპოქაში.

გ. მემარნიშვილი,

ბუდაპეშტის მსოფლიო სამონადირეო გამოფენის მომზადების სსრ კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან): მსოფლიო სამონადირეო გამოფენის საპარადო პავილიონი; ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტების მიერ გამოფენაზე გამოტანილი მონადირის სახლის ნიმუში; ჩეხოსლოვაკიის პავილიონის შესასვლელში სამონადირეო რიტუალის შესრულების მომენტი.

ფოტო ბ. ჭიბოშვილისა.







# ჩვენს ეკრანებზე



### ოგინსკის პოლონეზი

მოსკოვის მეშვიდე საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორის, რეჟისორ ლევ გოლუბის ფილმი „ოგინსკის პოლონეზი“ ბავშვებსა და ომის თემას ეძღვნება.

...სოფლიდან სოფელში დაეხეტება, ვიოლინოს უკრავს, ფულს შოულობს და ამით არსებობს ობოლი ვასილიოკი. მამამისი საზღვარზე განგმირეს, დედა დაბომბვისას დაიღუპა. კეთილ ადამიანებთან პოულობს ვასილიოკი თანაგრძნობასა და თავშესაფარს და ამის სამაგიეროდ მათთვის უკრავს. მუსიკის სწავლა მან ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო.

### წითელი მხედარი

...რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, მაგრამ რეაქცია და ინტერვენცია ისევ ბობოქრობს.

გერმანელ ჭაბუკს მიხეილ მაგერს შინ ჯდომა არძალუძს, მისი ფიქრები იმ ქვეყანას დასტრიალებს, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. მიხეილ ბუდიონის ცხენოსანთა არმიაში შესვლაზე ოცნებობს, რათა მტრისაგან დაიცვას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

ჭაბუკი შინიდან გაიპარება.

ფილმის ავტორია ვალტერ ბეკი. ფილმი გამოუშვა კინოსტუდია „დეფამ“.



## ტელევიზია

**3 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამით**

09.25 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — „მასწავლებლის დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი — „თემური და მისი რაზმი“, 13.15 — კინონარკვევი, 13.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინოალმანახი „ვარსკვლავი“, 14.30 — „სამი მოქანდაკე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „კინოაფიშა“, 15.30 — მოსწავლეთათვის „თქვენზე ფიქრებში“, 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ თბილისი — სკა როსტოვი, 17.45 — ფერადი ტელევიზია. ნახატი ფილმი, 18.00 — უკრაინის კამერული ორკესტრის კონცერტი, 18.40 — კინონარკვევი, 19.10 — მხატვრული ფილმი „ძერჟინსკი“, 20.35 — საინფორმაციო პროგრამა — „მოამბე“, 20.45 — „შეხვედრა ხელოვანთან — მსახიობ როსტროპოვიჩი (განმეორებით), 21.30 — „სტუმრად აფხაზ პოეტებთან“, 22.20 — კინონარკვევი, 22.35 — „მუსიკალური სუვენირები“.

**მეორე პროგრამით**

18.30 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა, 19.30 — განცხადებები, 19.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 20.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 21.35 — მხატვრული ფილმი — „სოფლის მასწავლებელი“.

**4 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამით**

16.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცეროდინას ეკრანი“, 18.55 — გადაცემა „სიტყვა და საქმე“, 19.15 — „სახელმწიფო ბანკი 50 წლისაა“, 19.30 — კონცერტი, 20.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „სკპ XXIV ყრილობა კომუნისტურ მშენებლობაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლების შესახებ“, 20.45 — სპორტული კვირეული, 21.00 — სატელევიზიო ფილმი „გაქცევა“ (პირველი სერია), 22.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების პირველი რესპუბლიკური სატელევიზიო ფესტივალი (ქუთაისის ზონა).

**მეორე პროგრამით**

19.05 — სკოლების დასახმარებლად — საზოგადოებათმცოდნეობა (მეათეკლასელთათვის), 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 21.15 — კინოპროგრამა, 22.00 — სატელევიზიო დადგმა — „ქალბატონი — გლეხის ქალი“.

## თეატრები

**3 ოქტომბერი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბეპა და შვილიშვილი (დღისით), ფაუსტი (საღამოს, 33-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მედეა (პრემიერა); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში (დღისით), ხსოვნა გულისა (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე (დღისით), გაზაფხულის ფირფიტა (საღამოს).

„ლოკომოტივის“ სტადიონი

3 ოქტომბერს

**ფეხბურთი**

საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის.

„დინამო“ თბილისი — სკა როსტოვი

(ძირითადი შემადგენლობანი)

დასაწყისი 16.00 საათზე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74. ტროლეიბუსი: 8, 9, 11; ავტობუსი: 20, 21, 32ა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი

დ. მეძღლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99.55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93.25-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები